გაზეთი ზიერსის, „ვერსიის“ ერთი

# ვერსია

№103 (859) 7 - 8 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი

# მიშას ღირსი ხარ შენ, ნაცმოძრაობავ!



გვ. 3

**მიხეილ სააკაშვილი:** „მინდა, ზიზღისა და შურისძიების სურვილის გარეშე დავბრუნდეთ!“

დიტო გელოვანი

## მიშარდ ოთხგული, მისი რაინდები, ბიძა და ბოძები

გვ. 2




პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამივე კანდიდატურა სატელეკომუნიკაციო კომპანიებში წილს ფლობს! გვ. 8

**ინტერესთა კონფლიქტი კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში**

**ირინა იმერლიშვილი:** „კოჰაბიტაციის დასრულება მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაშია შესაძლებელი!“



გვ. 4

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები რთველში მიიწვიეს** გვ. 9

## კობა ჰამაკში

„ვერსიის“ დოსიე



გვ. 6 გვ. 5

**დავით ზურაბიშვილი:** „არ დავაკონკრეტებ, თუმცა ფაქტია, საკმაოდ ბევრი ნაგავი ამოტივტივდა, სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ საბაბად რომ იყენებს!“

**„თბილისობის“ ფარგლებში „მარგებელი ჰოლდინგმა“, „მარნეულის მწნილის ფესტივალი“ გამართა** გვ. 7



## რატომ არავინ იცავს საქართველოში მართლმადიდებელთა უფლებებს

2013 წელს მომხდარი ფაქტები და ანალიზი გვ. 10–11

დიტო გელოვანი

**ჩვეულებრივი გაგება არ იდავებს, რომ ხელი, გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში, ძალიანაც საჭირო მექანიზმია, რომლის გარეშეც ადამიანებს არ გვექნებოდა ტექნიკა, აგროკულტურა, ინდუსტრია და მესტიის საერთაშორისო აეროპორტიც კი. მაგრამ რა არის გალაქტიკების, მეგასივრცის ფონზე, ერთ მიყრუებულ პლანეტაზე მცხოვრები თუგინდ წარმატებულად მებრძოლი ბიოლოგიური გვარის ზედა კიდური ისეთი, რომ სპეციალური სიღრმისეული ანალიზის საგანი გახდეს! თანაც ისეთ (აგრეთვე შემთხვევით) ფენომენთან ერთად, რომლის მეშვეობითაც ხსენებული ბიოლოგიური გვარი სიგნალიზაციას ახორციელებს და რომელსაც ენას უწოდებს.**

*(კახა კაციტაძე, „ყოფიერება და ხელება“)*

# მიშარდ ოთხგული, მისი რაინდები, ბიძა და ბოძები




შაბათს, სპორტის სასახლეში გამართული დიდი ქელეხის დროს, მისი მონაწილეებისთვის ხელი მართლაც საჭირო და აუცილებელი მექანიზმი იყო, ოღონდაც ხელს ტვინი უბრძანებს, მაგრამ თუ ტვინი არ არსებობს? თუ ტვინი არ არსებობს, სკოლის ფიზიკაში ნასწავლი „მარცხენა ხელის წესი“ და „მარჯვენა ხელის წესი“ განსხვავებულად მოითარგმნება. ასეთებისთვის ცოცხსაც სრულიად განსხვავებული დანიშნულება გააჩნია და გულიც ბოლმით არის სავსე.

ერთს კიდევ რა უშავდა, მაგრამ თავიანთ დროშაზე ერთბაშად ოთხი ასეთი დაახატეს.

„ოთო ექიმო, — შეაცქერდა დომენიკო, — გული მთავარია?“ „სხეულისთვის — კი“. „ხეი რა, ააა საირო?“ „რა თქვი, ჩიჩიო?“ იმან კი, მძლავრი, დაძაბული ყლუპით შთანთქა დიდი ლუკმა და ამჯერად, მკაფიოდ წარმოთქვა: „ხელი რა, არაა საჭირო?“

ნაცებო და მიშისტებო, აი თქვენ კი შთანთქეთ არმაგედონის ზანგის!

თუ ლაპარაკსა და წერას ამიკრძალავენ (გაგანია კოჰაბიტაციაა, რა დროს ეგენიაო), რა თქმა უნდა, ჟესტების ენას მოვიშველიებ და ნაცებთან მიმართებაში სულ ცოტა, სამი ჟესტი მახსენდება — ორ თითს შორის გაკვეხებული ცერა თითი, მარტივად აღმართული შუა თითი და მოხრილ მარჯვენა ხელში მოქცეული მარცხენა ხელის მუშტი. ასეთია ჩემი და მაგათი ურთიერთობის ანატომია და თუ გინდათ, ამას კოჰაბიტაცია დაარქვით. კოჰაბიტაცია თანაარსებობას ნიშნავს, რაც სულაც არ გულისხმობს ერთმანეთის დღეგრძელობასა და ვახტანგურების სმას. თუ სახელმწიფოა — სახელმწიფო იყოს, სახელმწიფოში კი, მშვიდობიანად თანაარსებობს სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მაგალითად, როგორებიცაა სკოლა და სასამართლო, უნივერსიტეტი და ციხე... გასულ კვირაში კი ისე მოხდა, რომ სასამართლოდან ციხის გზაზე, ნაცთ მამებმა ვლეს და სპორტის სასახლეში შეიარეს.

ოთხი გულის კომბინაციაც იქ ვიხილეთ. ახალი ეროვნული მოძრაობიდან ოთხი გულის კომბინაციამდე, რომელსაც „ქართული ოცნება“ არმაზ ახვლედიანს უპირისპირებს, ხოლო საზოგადოება — სამი თითის კომბინაციას.

„დღეს ხელისუფლება იმიტომ დგას ასე მტკიცედ, იმიტომაა ასე განწყობილი არჩევნების მიმართ, რომ მას არავითარ შემთხვევაში, არ სჭირდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება. ეს დრო წარსულს ჩაბარდა. თუ ვინმე აქა-იქ თავს უფლებას აძლევს, რომ გამოიყენოს რესურსი, გარწმუნებთ, ის მკაცრად დაისჯება ჩვენს მიერ. ის დაისჯება კანონის მიხედვით“, — ასე უპასუხა არმაზ ახვლედიანმა ნაციონალების ბრალდებას „ქართული ოცნების“ მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თაობაზე.

ერთი წელი გავიდა საპარლამენტო არჩევნებიდან, მკაცრად კი ჯერ არავინ დასჯილა. როგორც ჩანს, პირველი ის იქნება, ვისაც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე წაასწრებენ.

ძვირფასო მეგობრებო, თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სურვილი და ადრენალინის წყურვილი გკლავთ, გირჩევთ, ნუ გამოიყენებთ ადმინისტრაციულ რესურსს, რადგან ეს დასჯადია. დახოცეთ ქუჩაში ადამიანები, წაართვით ქონება, აწამეთ პატიმრები ცოცხით, ტერიტორიები ჩააბარეთ მტერს და, დამიჯერეთ, ხელს არავინ გახლებთ.

„ერთი წლის წინ ეს მთავრობა მოვიდა დაპირებით, რომ გააუმჯობესებს ხალხის ცხოვრებას, ააშენებს ახალ ქარხნებს, ღირსეული დასაქმების საშუალებას მისცემს მოქალაქეებს, გაანახევრებს ტარიფებს და 250 ლარამდე გაზრდის პენსიას, ერთი წელია მოთმინებით ვუყურებთ და ვხედავთ, რომ არსებული საწარმოები იხურება, ბიზნესი გაჩერებულია, ბოლო 3 თვეში 42 ათასი სამუშაო ადგილი დაიკარგა, 84 საჯაროდ გაცემული დაპირებიდან 76 დღემდე შეუსრულებელია, „ოცნება“ არ მუშაობს, დაპირებები არ სრულდება და დღეს ამას ყველა ხედავს“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ სპორტის სასახლეში გამართულ ქელეხზე.

ვზივარ და ვფიქრობ... ვერაფრით გავიხსენე, რომელ 84 დაპირებაზეა საუბარი და რომელი რვა შესრულდა. ალბათ, იმიტომ ვერ გამიხსენებია, რომ თავიდანვე მხოლოდ ერთი დავიმახსოვრე — სამართლიანობის აღდგენა — რომელიც ნამდვილად არ შესრულებულა, თუმცა განაჩენი გამოტანილია და მისი აღსრულება მხოლოდ დროისა და ნერვების საქმეა. დრო გამოინახება და ნერვიც იქ გაწყდება, სადაც ვიწროა.

ახლა, დასხდნენ მიშმაკაკები და ნაცმაცუნები და თავად გადაწყვიტონ, სად ურჩევნიათ, რომ განაჩენი აღსრულდეს — სასამართლოში თუ ქუჩაში.

„აქ შეკრებილ არც ერთ ადამიანს არ უნდა სავარძელი, არც ერთ ადამიანს არ სჭირდება ანაზღაურება, არც ერთ ადამიანს არ სჭირდება ძალაუფლება. ჩვენ ყველას გვინდა, გავერთიანდეთ უკეთესი საქართველოსთვის, სადაც ჩვენი შვილები, ჩვენი ოჯახის წევრები, მეგობრები განვითარდებიან და იცხოვრებენ ღირსეულ და თავმოყვარეობის მქონე ქვეყანაში“, — აღნიშნა დავით საყვარელიძემ (სანამ ვიღაც გუგულის ბუდეს გადაუფრენდა, ვიღაცამ შეყვარებულის ტელეფონი მოსმენაზე დააყენა. მაგრამ ვინ?).

მაშ, სააკაშვილს სავარძელი არ სჭირდება? ააა... მივხვდი — საქართველოს სჭირდება სააკაშვილი სავარძელში, ოღონდ ეს — საყვარელიძეს რომ ჰკითხო, თუმცა რატომაც არა? თუ ვანო მერაბიშვილს საკანში ტელევიზორი შეუტანეს, არაფერი დაშავდება, თუ მახლობელ საკანში სააკაშვილს სავარძელს დაუდგამენ, ხოლო ის, რომ მისი ადგილი საკანშია, ამაზე არც ერთი ღირსეული და სამშობლოსმოყვარე ადამიანი არ დავობს და არც იმაზე დავობს ვინმე, რომ ნაცებმა მოახერხეს და მართლაც შექმნეს „უკეთესი“ საქართველო, სადაც ყველაფრის უფლება ჰქონდათ და მაგრამ ვერაფრით დაივიწყეს ის საქართველო, როდესაც დღეგამოშვებით ურტყამდნენ თავში, მაშინ, როდესაც ყოველდღე პანღური ეკუთვნოდათ. მოდი და, ნუ ამოარტყამ...

„გავიხსენოთ გიორგი სააკაძე. აქ არის ლევან თარხნიშვილი. თარხნიშვილები და სააკაშვილები — ორივენი სააკაძეების შთამომავლები არიან და მინდა ვაღიარო, რომ არც ერთი არ ვართ თავადები. სააკაძემ ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ერთიანობისთვის. როდესაც სააკაძემ გაანეიტრალა შაჰ-აბასის არმია, აღმშენებლობის ნაცვლად მივიღეთ, რომ ფეოდალებმა მოაწყვეს ბაზალეთი და დაასამარეს საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეა. ხშირად ჩვენი ისტორია მაგონებს ამირანისა და პრომეთეს ისტორიას...“

იმ დღეს სპორტის სასახლეში 10-12 ათასი კაცი მაინც იქნებოდა შეკრებილი და ალბათ, მაგის ნახევარმა მაინც გაიფიქრა — მიშა, ხელი მოისვიო... მართლაც, მოისვა ხელი, ოღონდ — ცხვირზე და დასძინა: „ჩვენ უნდა ვემსახუროთ ჩვენს ხალხს და არა საკუთარ თავს. უნდა დავდგეთ ნებისმიერ სიძულვილზე მაღლა და ოპონენტებს, როგორც ძმებს, ისე ვესაუბროთ. ჩვენი მტრები არიან ოკუპანტები, რომლებიც დღესაც არჭობენ ბოძებს ჩვენს სხეულში“. ნუ, მაშინ ყველაფერი გასაგებია... ეს თემურ ალასანიაც რა მაგარი ვინმეა — საკუთარ დისშვილს ბიძა ბოძს რომ გაურჭობს...

„ნუთუ, ისეთი უმეცრები ვართ, ოკუპანტზე მეტად ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები გვძულდეს? ნუთუ ასეთი უმეცრები ვართ, რომ კიდევ ერთხელ გავუშვათ ლამაზი ევროპული მატარებელი, ისეთი, როგორიც ჩვენთანაც დადის და უსუსურად დავრჩეთ ბაქანზე მარტო და დაველოდოთ ძველ, ცნობილ იმპერიული ნახირის გადასაყვან შემადგენლობას, რომელიც კიდევ ერთხელ წაგვიყვანს ძალის გამოყენებით იმიტომ, რომ ჩათვლის, ნახირი ვართ და არა ხალხი“, — ესეც ჩოყლაყის სიტყვებია და ეს სიტყვები კომენტარს ნამდვილად საჭიროებს. თქვენ არ ხართ უმეცრები, თქვენ ნაძირლები ხართ; თქვენ არ გაგიშვიათ ლამაზი ევროპული მატარებელი, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რომ ეს მატარებელი აქ არ შემოსულიყო. ჩვენში დარჩეს და, ისე ლამაზად ლაპარაკობს, ძალაუნებურად მოგინდება, დედა ლამაზად აუფეთქო და მოდი, ესეც ვთქვათ — ასეთი ფოიერვერკის მოწყობას სპეციალური საშუალებები ესაჭიროება, რომელიც ამ ქვეყანაში მხოლოდ ბიძოს გააჩნია. იმედი მაქვს, საშუალებებთან ერთად, სურვილიც აქვს და თუ ასე არ არის, ჩვენ ხომ ნამდვილად ასე ვართ ანდუყაფარო, ლიპარიტო, დარნო მთათანო, ბაგრატოვანთა ბანოვანის ტანო-ტატანო, ბიჭო სესეო, თოთიკაანთ ქალო მელანო, ვაჟას არწივო, შოთას ვეფხვო, ტატოს მერანო.

იფ, რა გავილექსე... შაირის თქმა მინდოდა, მაგრამ შიში მამაძაღლია — ია ანთაძის სახელობის სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ცენზორებს არ სძინავთ, ფხიზლობენ და არ ვიცი, როდის ამკრძალავენ.

მე რა, ბატონო მოსამართლევ... რა, მე... მე, რა... მე ერთი შეუმჩნეველი კაცი ვარ, ფოსტალიონობასაც კი ვერ მივაღწიე, თუმცა ვოცნებობდი კია, მაგრამ ფოსტალიონობას, როგორც ყველა საქმეს, ცოდნა უნდა — სემინარები, ტრენინგები, სერტიფიკატები, შეხვედრები და რა ვიცი, კიდევ რა... აი, დიდი რომ გავიზრდები... ეჰ, ოცნებას კაცი არ მიუჯირყნია. თუმცა, როგორ არა!

ივანიშვილი რომ შეხვდა, აი... როგორ გითხრათ, ჟურნალისტები რომ ჰქვიათ და ფოსტალიონობას რომ იჩემებენ. რა არის ცუდი ფოსტალიონობაში? არც არაფერი, ოღონდ, თუ პატიოსნად ასრულებ შენს მოვალეობას, მაგრამ ცუდია, თუ სხვის წერილებს ხსნი და კითხულობ, სხვის ამანათებში ხელს აფათურებ და ხანდახან ამანათებს ცვლი და ადრესატს არწმუნებ, ეს სჯობს იმას, რაც გამოგიგზავნეს, წერილებსაც ცვლი და უმტკიცებ, რომ ეს არის სწორი და არა ის, რაც მოგწერეს... ფოსტალიონი რომ გამამაძაღლდება, ეს იმაზე უარესია, რაჭველი რომ გამამაძაღლდება, მაგალითად — ნიკოლოზ რაჭველი.

მოკლედ, ივანიშვილი რომ შეხვდა და კრება უკმაყოფილო დარჩა, მონაწილეებიდან ერთმა — ივანიშვილს საზოგადოების აღზრდა უნდაო, მეორემ — მიგვჯირყნაო, მესამემ — კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით გველაპარაკებოდაო... კრება დარჩა მოწყენილი და უკმაყოფილო. მოწყენილი იმიტომ, რომ სახალხოდ მიჯირყნეს, ხოლო უკმაყოფილო იმიტომ, რომ მიჯირყნაში ფული არ გადაუხადეს. აბა, ეთქვა ბიძოს, ჰა, თქვენ თითო მილიონი, ფიშიფიში ქენით და დაიძინეთო. ისე დაიძინებდნენ, როგორც 2003-2006 წლებში ეძინათ და ამის მერე კიდევ ხუთი წელი ძილ-ბურანიდან რომ ვერ გამოდიოდნენ. ასეა თუ ისე, სახეები იყო მოწყენილი და რომ მეგონა, მეთქი ია ანთაძის სახელობის სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის დირექტორი ია ანთაძე მეგობრებს (დრუზია პა სჩასწიუ) მხარს დაუჭერს-მეთქი, მოხდა საოცრება: „ფორმატი თავისთავად საინტერესოა. შინაარსს რაც შეეხება, ერთი მხრივ, არის პრეტენზია, რომ ის ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ ფუნქციას და ამაში პრემიერს 100 პროცენტით ვეთანხმები“.

ვერ გევიგე, ოპელი?!

ვერ გავიგე, მაგრამ მივხვდი — „მეცხრე არხის“ ქონების დათრევა თუ გინდა, სიტყვები უნდა შეარჩიო.

ჩოყლაყო მიხეილ, რა ასწავლე ამისთანა ამ ხალხს ეთიკური ჟურნალისტიკის სკოლაში?!

როგორც ამბობენ, შემდეგ შეხვედრას ივანიშვილი ენჯეოშნიკებთან გამართავს, ანუ მეორე უძველესი პროფესიის წარმომადგენლების შემდეგ, ყველაზე უძველესი პროფესიის წარმომადგენლების ჯერი დგება, თუმცაღა არიან ადამიანები, რომლებიც ორივე პროფესიას თანაბრად და ღირსეულად წარმოადგენენ — ენჯეოშნიკებიც არიან და ჟურნალისტებიც. მათ შესახებ მაშინ ვისაუბროთ, როცა გამოძიება ზუსტად დაადგენს, როგორ მოხვდა კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელში ვიდეომასალა, რომელზეც ბაჩო ახალაიასა და აკაკი (სიდედრო) მინაშვილის საუბარია აღბეჭდილი. ენჯეოშნიკურ-ჟურნალისტური ამბები საზოგადოებრივ მაუწყებელზე მიმდინარე პროცესებით უნდა განვაგრძო. მართალია, არც საზოგადოებრივია და არც მაუწყებელი, მაგრამ ასე ჰქვია და მეც ასე მოვიხსენიებ. სამეურვეო საბჭოს ორმა წევრმა საბჭოს დატოვება გადაწყვიტა (ან, რას შედიოდნენ?), რაზეც ემზარ გოგუაძეს ასეთი რეაქცია ჰქონდა — თუკი ეს ორი საბჭოდან ნამდვილად გავა, ამით მაუწყებელი ძალიან დაზარალდება, რადგან მაუწყებლის გენერალური დირექტორის პოსტზე გამოცხადებული კონკურსი ჩავარდება; ვერ შეიტანს მაუწყებლის ბიუჯეტში კორექტივებს, თუ არ მოხდა ცხრაწევრიანი შემადგენლობის ცნობა, რადგან დღეის მდგომარეობით, ბორდ-ში მხოლოდ შვიდი წევრია, რის გამოც საბჭო გადაწყვეტილებებს ვერ იღებს.

ააა... ახლა ვხვდები, რატომ შეიცვალა ამ ბოლო დროს საზოგადოებრივი მაუწყებელი მართალია ოდნავ, მაგრამ, მაინც უკეთესობისკენ. თურმე, ბორდ-ი გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. მეც არა ვთქვი... ე, ბიჭო, სად იყავით აქამდე? უფრო სწორად, მანდ აქამდე რა გინდოდათ? ძალიან უცნაური ხალხია და ახლა ის გამახსენდა, რამდენიმე კვირის წინ გოგუაძე რომ იძახდა, ეროვნული მოძრაობის ლიდერი ვიყავიო... გასულ კვირაში თქვა: „ჩვენ ჟურნალისტები ვართ, ვემსახურებით ქვეყანას და ყოველთვის სიმართლის სადარაჯოზე უნდა ვიყოთ“. აბა, ჰე — გაათავისუფლეთ ერთი ადგილი მთაწმინდის პანთეონში!!! ყველანი ჩამოშორდით გზიდან, ემზარ გოგუაძე მოდის (ეს „სიმღერა“ რომელიღაც ქორწილში მაქვს მოსმენილი). ამ ემზარ გოგუაძიანი ნიუსის სათაური ასეთი იყო — „ემზარ გოგუაძე საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებულ კრიზისზე საუბრობს“. რაც თავი მახსოვს, მაგ არხზე სულ კრიზისია, მისი ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ იმაზე ფიქრით არის დაკავებული, როგორ გამოუძვრეს წინა მთავრობას და რანაირად შეუძვრეს ახალს. იმიტომაც არის — გადართავ (შემთხვევით) პირველ არხზე და დინამიკებიდან მაშინვე ვაზელინი ჟონავს. მინდოდა, ანდრო ბარნოვზეც მეთქვა ორიოდე სიტყვა, მაგრამ ორიც ბევრია, საკმარისია ერთიც და უკვე ვთქვი — „ვაზელინი“. ძალიან, ძალიან ტევადი სიტყვაა, გულისხმობს ანდრო ბარნოვს, მთელ ენჯეოსექტორს, მედიის 90 და პოლიტიკოსების 99 პროცენტს. იმედს ვიტოვებ, მინდა მჯეროდეს, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას სწორედ იმ ერთ პროცენტში დარჩენის გამო ტოვებს და შეეცდება, უვაზელინო ერთი პროცენტი არასამთავრობო სექტორშიც შექმნას. რაც შეეხება მედიას, ვურჩევ იმ 90 პროცენტს ძალიანაც ნუ გადაყვება და ერთხელ მაინც შეხვდეს იმ ჟურნალისტებს, რომლებსაც ვაზელინიანი ფოსტალიონები „მარგინალებად“ და „შავრაზმელებად“ მოიხსენიებენ. ახლა, რა თქმა უნდა, ამას ტყუილად ვამბობ.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# მიშას ღირსი ხარ შენ, ნაცმოძრაობავ!



ლევან ღვინიაშვილი

**ყოველთვის უყვარდა ნაციონალურ მოძრაობას ციფრებით თამაში და სიმბოლოები. ამის მიუხედავად, როცა პარტიის მორიგი ყრილობა 5 ოქტომბერს დააანონსეს, პარტიული ნომერიც ხუთია და სულ ხუთიანზე წაგვივა საქმეო, იძახდნენ, მაინც გამიკვირდა. კარგა ხანია, შეფასების 10-ბალიანი სისტემაა და ხუთიანი ორიანს და სამიანს შუა გაჭედილს ჰგავს. გათვლა თბილისობაზეც აშკარად გაკეთდა. თუ ისე მოხდებოდა, რომ სპორტის სასახლის გავსება გაჭირდებოდა, იქვე, რეგიონებიდან ჩამოსულებს რამენაირად შეიტყუებდნენ სპორტის სასახლეში, იქიდან გამოსვლა კი დიდი პრობლემა იყო, თუმცა ამაზე მოგვიანებით.**

საინტერესოა, რომ ფორმიან „მჩხრეკავებს“ ერთი დეტექტორი ჰქონდათ, რომლითაც ქალბატონებს ჩხრეკდნენ, მამაკაცებს კი ხელების ფათურითა და ჩამჭრელი კითხვით — აკრძალული ნივთი ან ფოტოაპარატი ხომ არ გაქვსო? რატომ იყო ფოტოაპარატი აკრძალულ ნივთთა სიაში მაშინ, როცა მინიმუმ ყოველ მეორეს ფოტოს გადაღება ტელეფონითაც შეეძლო, ვერ გეტყვით. სპორტის სასახლე პირთამდე სავსე იყო და ყველა სკამზე საქართველოს დროშა იდო, რომელიც მუყაოს სქელ ქაღალდზე გახლდათ დაბეჭდილი და გულის ფორმა ჰქონდა. პირველი ტყუილიც აქ დაფიქსირდა — მუყაოს ქაღალდს გასაგებად ეწერა „დამკვეთი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ტირაჟი 500 ცალი. ყველაზე ცუდ ვარიანტში ეს მუყაო 10 ათას კაცს ეჭირა და 500 ცალი როგორ გამრავლდა, ვერ გეტყვით.

დიდ დინამიკებში ნიაზ დიასამიძის სიმღერა ისმოდა, ხოლო ორ დიდ მონიტორზე განათებული თბილისი, სვანეთის მთები, ბათუმის ხედები და განახლებული სიღნაღი ერთმანეთს ენაცვლებოდა...

ნაციონალური მოძრაობის ცნობილი სახეები ერთად შეჯგუფულიყვნენ, პეტრე ცისკარიშვილი ინტერვიუებს არიგებდა, გივი თარგამაძე ჩემთვის უცნობ მამაკაცს რაღაცას უხსნიდა, მაუწყებლის ყოფილი დირექტორი გია ჭანტურია ცსკო-ს ასევე ყოფილ თავმჯდომარეს ლევან თარხნიშვილს ესაუბრებოდა და... იქვე, სავარძელზე პენელოპა კრუსი იყო მისვენებული. უფრო ზუსტად, ის ქალბატონი პენელოპას ძალიან ჰგავდა, მაგრამ ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ დავადგინე, ვინ იყო, იჯდა და თვალებს ნაბავდა. კინაღამ დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული, მაგრამ დავიწყება ვინ გაცადა — დარბაზში ბაქრაძე გამოჩნდა და ისევ აღრიალდა დარბაზი. ბაქრაძის შემდეგ დარბაზში მიხეილ სააკაშვილი შემოვიდა და ხალხი ექსტაზში ჩავარდა. აქეთ „მიშა, მიშას“ ძახილი, იქეთ ფოტოაპარატების ჩხაკუნი და ამ დროს ირაკლი ჩარკვიანის „პატარა გოგო დამეკარგა“ დაიწყო. თქვენი არ ვიცი, მე კი მაშინვე ვიფიქრე, ახლა რომელიმე კარიდან ნინო ბურჯანაძე შემოვა-თქო, მაგრამ იმედი გამიცრუვდა!

5 საათზე დაანონსებული ყრილობა, 6-ზე გიორგი ვაშაძემ გახსნა. სწორედ ამ დროს აურიეს დინამიკებმა და მისი ერთხელ ნათქვამი სამჯერ მეორდებოდა. ორატორს სიმწრის ოფლმა დაასხა, აღნიშნა კიდეც, ცოტა ხმა ურევსო, მაგრამ ვერ გაასწორეს და მისი სიტყვები ასე ისმოდა: „ყველაფერი კარგად იქნება, იქნება, იქნება... ჩვენ დაგასაქმებთ, დაგასაქმებთ, დაგასაქმებთ... პარტიის ახალ თავმჯდომარედ ავირჩიეთ სააკაშვილი, სააკაშვილი, სააკაშვილი...“ ეს ბოლო ინფორმაცია რომ გავიგე, ვიფიქრე, ახლა დაინგრევა დარბაზი, ხალხი პარტიის თავმჯდომარედ ისევ სააკაშვილს ვერ აიტანს-თქო და მართლაც, დაინგრა დარბაზი აპლოდისმენტებითა და „მიშა, მიშას“ ძახილით. მაშინ კი ვთქვი, მიშას ღირსი ხარ შენ ნაცმოძრაობავ-თქო და აჟიტირებული ხალხის თვალიერება დავიწყე. ჩემს წინ სიტყვით უკვე



მოკლედ, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას 5-ში რეგიონებიდან ჩამოსული ხალხი შეესია. ერთი ნაწილი გარეთ თბილისობას ზეიმობდა და ჩამოტანილ ნობათს ყიდდა, მეორე — დროშებით შეიარაღებული ყოფილ მმართველ გუნდს ერთგულებას უმტკიცებდა. შესვლამდე ავტობუსები დავათვალიერე და ვის აღარ ნახავდით აქ — ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე, გურია, იმერეთი... ყველაზე დიდი წარმომადგენლობა მაინც სამეგრელოს ჰყავდა. ამ თვალიერებაში ერთ ქალბატონს გადავეყარე, რომელიც ტელეფონში ბოლო ხმაზე გაჰკიოდა: „მეკითხებიან, სადაა შენი ხალხიო და სად წეეთერით... (პაუზა) თქვენ დალიეთ ცეცხლი და ნავთი, არ უნდა მომეცა წინასწარ და დევინახავდი, რასაც დალევდით“... რა არ უნდა მიეცა იმ ქალბატონს სხვისთვის და თან წინასწარ, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ფაქტით აშკარად შეწუხებული რომ იყო, სახეზე ეწერა. მოულოდნელად, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, 30-მდე ახალგაზრდა „დათო, დათოს“ ძახილით მოადგა სპორტის სასახლეს. ნაპროკურორალ დავით საყვარელიძეს ორაზროვნად ჩაეღიმა, იქვე მყოფი ხათუნა ოჩიაური მხრებში გაიშალა და... „დეინახე, ეს ის ქალი არ არის, არჩევნებს რომ აყალბებს ხოლმე? — გავიგონე ზურგსუკან და ხელში ხათუნა გოგორიშვილი შემრჩა. მალე ლევან ვარშალომიძეც გამოჩნდა, მერე გიორგი თევდორაძე, დარჩიაშვილი, მინაშვილი, გიგა ნასარიძე და... დღის მთავარი გმირი (ყოველ შემთხვევაში, თავიდან ასე მეგონა) დავით ბაქრაძეც მობრძანდა. მის გამოჩენას მორიგი „დათო, დათო“ მოჰყვა და როცა ხუთოსანი საპრეზიდენტო კანდიდატი, ცოტა არ იყოს, შეცბა, მხარდამჭერები „საქართველო, საქართველოზე“ გადავიდნენ. გარეთ საინტერესო აღარაფერი ხდებოდა და სპორტის სასახლის ფოიეს მივაშურე... შესვლამდე საფუძვლიანად გამჩხრიკეს.

გოგი ოჩიაური გამოდიოდა. მას ნაცმოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი, დავით ბაქრაძე უნდა წარედგინა. ბევრს ეცადა მოქანდაკე ოჩიაური ბაქრაძისგან ახალი, გარეცხილ-გასუფთავებული ლიდერი წარმოედგინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, დაწერილი ქაღალდი ჯიბეში ჩაიკუჭა და სამ წინადადებაში დაამთავრა სათქმელი. სცენაზე ბაქრაძე ავიდა...

— „ქართული ოცნება“ არ მუშაობს, 84 დაპირებიდან 76 შეუსრულებელია, ბიზნესი გაჩერებულია, ეკონომიკა უკან მიდის, ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ მთავრობა, — დაიწყო ბაქრაძემ და მერე იყო ჩვეულებრივი დაპირებები, იმის შეპირება, რომ თუ პრეზიდენტი გავხდები, აუცილებლად დაგასაქმებთო (არავის გახსენებია, რომ ნაცმოძრაობა 9 წელი ასაქმებდა მოსახლეობას, ოღონდ თავზე) და ისევ „ქართული ოცნების“ კრიტიკა გააგრძელა... ნაცმოძრაობა არ იქნება რევანშისტული, ჩვენ არავის დავსჯით და არ გამოვკეტავთ ციხეებში, ჩვენ მტერი არ გვყავს საქართველოს შიგნით, — ქადაგებდა ბაქრაძე და ისევ არავინ უთხრა, რომ პატიმრების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში სამეულში შევდიოდით. მან მხარდამჭერებს პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ არჩევის გამო მადლობაც გამოუცხადა და იქვე დასძინა — ასეულობით ახალგაზრდა მოდის პარტიაში გასაწევრიანებლად და ნაცმოძრაობა სწორედ ახალგაზრდების პარტიაა, მომავლის პარტიაო. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, კობა ხაბაზს მოვკარი თვალი. პირდაპირ ტრიბუნის უკან იჯდა და აქტივისტთა ჯგუფს ხელის აქნევით შეუძახებდა ხოლმე, ვის როდის დაეკრა ტაში და როგორ ეყვირა. გამეცინა, რადგან იგი ამ წუთას მართლაც ჩამოგავდა ლუი დე ფიუნესს დირიჟორის როლში და გულიც კი დამწყდა, სადირიჟორო ჯოხი თუ ვერ გამონახეს, დროშის ტარი მაინც მიეცათ-თქო ხელში!

*დასასრული მე-4 გვერდზე*



# „მინდა, ზიზღისა და შურისძიების სურვილის გარეშე დავბრუნდეთ!“

რუსუდან შელია
557-100-768

5 ოქტომბერს, სპორტის სასახლეში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მეექვსე ყრილობა გაიმართა. დელეგატებმა პარტიის თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილი, ხოლო პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელად დავით ბაქრაძე აირჩიეს. პარტიის გენერალური მდივნის პოსტს კი პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილი ინარჩუნებს. ყრილობამ კენჭი უყარა ახალ წესდებასაც, რომლის მიხედვითაც, პარტიაში გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანო იქნება პოლიტიკური საბჭო, ხოლო რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეების პოსტი — არჩევითი.

ყრილობა გიორგი ვაშაძეს მიჰყავდა, მხარდამჭერებს კი სიტყვით მიხეილ სააკაშვილმა და ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ მიმართეს. საქართველოს პრეზიდენტმა სპორტის სასახლეში შეკრებილ მხარდამჭერებს ახალი დროშაც წარუდგინა და განმარტა: **„ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეროვნული დროშა პრივატიზებული გვქონდეს, ამიტომ ქრისტიანული სარწმუნოების გარშემო გაერთიანებული სიყვარულის დროშას გთავაზობთ. ერთი თვის წინ მყინვარწვერზე ვიყავი, სადაც გადაჩეხვისა და გაყინვის საფრთხე მუდმივად არსებობს. მივხვდი, რომ დაღუპვის თავიდან ასაცილებლად ერთადერთი გამოსავალი მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაა, როგორც ამას ილია ამბობდა. როცა იღლები, 9 წელი კი დაღლისთვის საკმარისია, სჯობს, ქვაზე ჩამოჯდე, დაფიქრდე, შეიძლება, ოცნებასაც მიეცე, მაგრამ დიდხანს ოცნება დამღუპველია — გაიყინები და დაიღუპები. მიუხედავად უამრავი ბოროტი ჭორისა და ბრალდებისა, ნაციონალური მოძრაობა გადარჩა და არსებობას აგრძელებს. ეს კი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ საქართველო განვითარების ევროპულ ერაში გადავიდა“.**

მიხეილ სააკაშვილმა სპორტის სასახლეში 2012 წლის 1 ოქტომბერიც გაიხსენა, როცა ერთდროულად, მძიმე და ოპტიმისტურ გუნებაზე იყო: **„მაშინ ჩემს თავს ვუთხარი — ეს დასასრული არ არის, ეს უკან მობრუნების ახალი გზის დასაწყისია. საქართველოში პოლიტიკური მონაცვლეობა წესად იქცა. როგორც ღამეს დღე მოსდევს, ჭექა-ქუხილს — მოწმენდილი ცა, დღევანდელ ნგრევის პერიოდს საქართველოს განვითარების გზაზე დაბრუნება მოყვება. ამიერიდან საქართველოს პოლიტიკა რეალური პოლიტიკური ძალების ინტერესების გარშემო ჩამოყალიბდება. მინდა, ზიზლისა და შურისძიების სურვილის გარეშე დავბრუნდეთ. ხელისუფლების მეორედ გადაცემა კი იმაზე მალე მოხდება, ვიდრე ჰგონიათ!“**

ნაციონალური მოძრაობის ერთიანობასა და პოლიტიკურ მომავალზე ისაუბრა საპრეზიდენტო კანდიდატმა დავით ბაქრაძემ. მისი განცხადებით საპარლამენტო პარტიამ, პირველ რიგში, წარსულში დაშვებული შეცდომები ობიექტურად უნდა შეაფასოს: **„დღეს ბევრი მეკითხება – ვთქვათ, არჩევნებში ხმა მოგეცით, ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში ძველი, უცვლელი პოლიტიკით დაბრუნდება? მკაფიოდ ვაცხადებ: ნაციონალური მოძრაობის ძალა განახლების სურვილსა და პოლიტიკურ ნებაშია. ჩვენ წარსულიდან ცოდნა, გამოცდილება, პატრიოტიზმი, ენერგია და ყველაფერი ის მოგვაქვს, რისთვისაც ამ პარტიას ხალხი მხარს უჭერდა, მაგრამ სამუდამოდ წარსულში ვტოვებთ იმ ქმედებებს, რასაც საზოგადოება შეცდომად გვითვლის“.**

თბილისის მერის გიგი უგულავას შეფასებით კი, ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი შემდგარი პარტიაა: **„ნაციონალური მოძრაობა არათუ არსებობას აგრძელებს, ქართული დემოკრატიის დასაყრდენად რჩება, რადგან საქართველოს ისტორიაში ყველა სახელისუფლო პარტია, „მრგვალი მაგიდიდან“ დაწყებული „მოქალაქეთა კავშირით“ დამთავრებული, ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ქრებოდა. ამ თვალსაზრისით, ნაციონალური მოძრაობა ერთადერთი შემდგარი პარტიაა, რომელსაც განახლება და ახალი სისხლი სჭირდება!“**

დასასრულს, სპორტის სასახლეში შეკრებილ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს საპარლამენტო უმცირესობის წევრმა თინათინ ბოკუჩავამ პარტიის 10-პუნქტიანი სამოქმედო გეგმა წარუდგინა: ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ სწრაფვა; კავკასიის რეგიონის ერთიანობა, თანამშრომლობა და თანაცხოვრება; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, არაღიარების პოლიტიკა, დეოკუპაცია; განათლების სფეროს განვითარების განსაკუთრებული ხელშეწყობა; საქართველოს რეგიონალურ ცენტრად ჩამოყალიბება; ეკონომიკური თავისუფლება; საქართველოს რეგიონების გაძლიერება და დეცენტრალიზაცია; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; რეალური საყოველთაო ჯანდაცვა; დემოკრატია და თავისუფლება. ყრილობა საქართველოს ჰიმნით დასრულდა.

# ირინა იმერლიშვილი: „კოჰაბიტაციის დასრულება მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაშია შესაძლებელი!“

კახა მაისურაძე

**წინასაარჩევნო კამპანია მეტად აქტიურ ფაზაში შევიდა, პრეზიდენტობის კანდიდატები ხალხს უამრავ დაპირებას ურიგებენ, 4 წელიწადში ქვეყნის აყვავებასა და უამრავ სიკეთეს ჰპირდებიან. ყველა წინასწარი კვლევის თანახმად, საარჩევნო მარათონში, ერთპიროვნული ლიდერი კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილია. იგი საგრძნობლად უსწრებს სხვა კონკურენტებს, იმდენადაც კი, პირველსავე ტურში მის გამარჯვებას ხელს ვერაფერი შეუშლის. წინასაარჩევნო გარემოსა და გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო შანსებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე, ირინა იმერლიშვილი გვესაუბრება.**



**— ქალბატონო ირინა, დემოკრატიის ხარისხი რომ გაუმჯობესდა ქვეყანაში, უდავოა. ნაციონალები და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტები აცხადებენ, რომ საარჩევნო გარემოს მხრივ, არაფერი შეცვლილა, შეგიძლიათ კონკრეტულად გვითხრათ, რა შეიცვალა?**

— გავიხსენოთ, რა პირობებში გვიწევდა „ქართულ ოცნებას“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები დროს კამპანიის ჩატარება. ჩვენს მომხრეებს ატერორებდნენ, სრულიად უკანონოდ აკავებდნენ, ჩხრეკდნენ; მეტიც, პოლიციის განყოფილებებში, კონტროლის პალატაში აშიშვლებდნენ, ისე ჩხრეკდნენ და მთელი ღამით ასობით ადამიანი ჰყავდათ დაკითხვებზე. ცდილობდნენ, ამგვარი ზეწოლითა და მუქარით აეძულებინათ ეს ადამიანები, ჩვენს საწინააღმდეგოდ ეთქმევინებინათ, რომ ვითომ ჩვენ ფულს ვუხდიდით მათ მხარდაჭერის სანაცვლოდ და ა.შ. მოკლედ, ათასი სიბინძურის გაკეთებას აიძულებდნენ ხალხს, თუმცა ეს ხალხი არ გატყდა და რაც ბუნებაში არ არსებობდა, ცხადია, არც ის ულიარებიათ. „ქართულ ოცნებას“ ვინც კანონიერად შესწირა წინასაარჩევნოდ თანხები, ყველას სახლები და უძრავი ქონება დაუყადაღეს, მათ შორის მეც ვიყავი. ხალხთან შეხვედრისას ნაციონალები „ზონდერებს“ გვახვედრებდნენ, ცდილობდნენ, ჩვენი მომხრეები პროვოკაციაზე წამოეგოთ — ბეშუმში, კარალეთში, სამტრედიასა და სხვა უამრავ ადგილას. სპეცსამსახურები უკანონოდ უსმენდნენ ჩვენი „ქართული ოცნება-დემოკრატიული მოძრაობის“ და კოალიციაში შემავალი პარტიების ოფისებს. ხალხთან შესახვედრად დარბაზებს არ გვაქირავებდნენ, სხვადასხვა აბსურდული მიზეზით, ჩვენი მომხრე არაერთი ადამიანი დაითხოვეს სახელმწიფო სტრუქტურებიდან... კიდევ ბევრი ძალადობის, უკანონო ქმედებების ჩამოთვლა შეიძლება, რასაც წინა ხელისუფლება ჩვენს წინააღმდეგ იყენებდა. დღეს ამგვარი არაფერი ხდება. ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს აქვს საშუალება, აწარმოოს საარჩევნო კამპანია, უპრობლემოდ შეხვდეს მოსახლეობას, კანონის ფარგლებში იმოქმედოს და მათ ხელს არავინ უშლის. ამას ადასტურებენ ქართული და უცხოური არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მედია, ექსპერტები... მკვეთრად შეიცვალა ვითარება ამ მხრივ უკეთესობისკენ. თუ ნაციონალები და სხვა საპრეზიდენტო კანდიდატები ამას ვერ ხედავენ, ეს მათი პრობლემაა.

**რამდენიმე კანდიდატი ჩივის, რომ მათ არ ჰყავთ საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლები და არც სახელმწიფო დაფინანსება აქვთ. კანონი არ აძლევს მათ ნებას, რომ საარჩევნო კომისიებში ჰყავდეთ წევრები, არაკვალიფიციურ სუბიექტებს კი, საბიუჯეტო დაფინანსება არ ეკუთვნის და ჩვენ რა შუაში ვართ? ჩვენ კანონის სრული დაცვით, ყველა საპრეზიდენტო კანდიდატს იმ პირობებს ვუქმნით საარჩევნოდ, რაც ამავე კანონით აქვთ გარანტირებული, არც მეტს და არც ნაკლებს.**

**— გიორგი მარგველაშვილი საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე გადადგა განათლების მინისტრის პოსტიდან. არადა, კანონი ამას არ ავალდებულებდა. ბევრს მიაჩნია, რომ ეს ახალი რეალობაა ქართულ პოლიტიკაში, მარგველაშვილმა ახალი სტანდარტი დაუწესა სხვა კანდიდატებს და, საერთოდ, ქართველ პოლიტიკოსებს, თქვენც ასე მიგაჩნიათ?**

— ცხადია, გიორგი მარგველაშვილის ეს ნაბიჯი, მართლაც, ახალი სტანდარტია ქართულ პოლიტიკაში და მას კანონი არ ავალდებულებდა მინისტრის პოსტიდან გადადგომას. შეეძლო, ჩაბმულიყო საარჩევნო კამპანიაში და დავუშვათ, პრეზიდენტი თუ არ გახდებოდა, კვლავ მინისტრის რანგში გაეგრძელებინა მუშაობა, თუმცა ეს არ გააკეთა და გადადგა. მაგალითად, ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი დავით ბაქრაძე ამ გზით არ წავიდა, იგი პარლამენტარის რანგში აწარმოებს საპრეზიდენტო კამპანიას და, როცა არჩევნებს წააგებს, რაშიც ეჭვი არ მეპარება, დარჩება დეპუტატად. ამ მხრივ, მარგველაშვილის საქციელი მართლაც მისაბაძია, რითაც მან დაამტკიცა, რომ მისთვის თანამდებობა არ არის მთავარი ღირებულება, თუნდაც ეს მინისტრის მაღალი პოსტი იყოს.

**— გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო შანსებზე რას იტყვით, რით სჯობს ის სხვა კანდიდატებს?**

— იმის მიუხედავად, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატია, არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. გიორგი, დღევანდელი პრეზიდენტისგან განსხვავებით, იქნება ყველას, ქართველი ხალხის და არა ერთი, რომელიმე პარტიის პრეზიდენტი. მას აქვს თანამედროვე ხედვები და, რაც მთავარია, მომართულია საიმისოდ, რომ ემსახუროს ხალხს. იმ წინსვლას, რაც ქვეყანაში „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო, ჩვენ მომავალში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან ერთად გავაგრძელებთ. რა მოგვიტანა ოპოზიციონერმა პრეზიდენტმა, ყველამ კარგად ვნახეთ. მიხეილ სააკაშვილი, საკუთარ ხალხს, ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს ჩაუდგა ოპოზიციაში, მეტიც, ყრუ ოპოზიციაში და ორივე ორგანოს ყველანაირად უშლიდა ხელს მუშაობაში. პარლამენტმა მისი რამდენი ვეტო დაძლია, აღარც კი მახსოვს. გიორგი მარგველაშვილი გახდება პრეზიდენტი და „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, განაგრძობს ქვეყნის სასიკეთო საქმეების კეთებას. ის ხელს კი არ შეუშლის პარლამენტსა და მინისტრთა კაბინეტს, პირიქით, ხელს შეუწყობს მუშაობაში.

**— გიორგი მარგველაშვილი ხალხს, გამარჯვების შემთხვევაში, ნაცმოძრაობასთან პოლიტიკური კოჰაბიტაციის დასრულებას შეპირდა. რამდენად რეალურია მისი ეს დაპირება?**

— რეალური დაპირებაა და როცა გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაცია, დიახ, დასრულდება. ახლა ერთ მნიშვნელოვან რამეს მოგახსენებთ. მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაშია შესაძლებელი კოჰაბიტაციის დასრულება, რადგან ასეთ შემთხვევაში, პრეზიდენტი ქვეყნის მმართველი გუნდის წარმომადგენელი იქნება, „ქართულ ოცნებასა“ და მარგველაშვილს შორის კოჰაბიტაცია რომ არ იქნება, ამაში დამეთანხმებით — ეს, უბრალოდ, იურიდიულადაც შეუთავსებელი ცნებებია, რადგან პრეზიდენტი მმართველი გუნდის წევრი იქნება.

**დავუშვათ, ნებისმიერი სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი რომ გახდეს პრეზიდენტი, „ქართულ ოცნებას“ ახლა მასთან მოუწევს იძულებით კოჰაბიტაციის პროცესის დაწყება. შესაძლოა, ეს იმ ხარისხისა არ იყოს, რაც ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაციაა, მაგრამ ეს პროცესი, რაღაც ფორმით, აუცილებლად გაგრძელდება. ამდენად, მხოლოდ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის შემთხვევაში დასრულდება ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაცია და, შესაბამისად, სხვა პოლიტიკურ ძალასთან კოჰაბიტაციაც გამოირიცხება.**

მართალია, ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაციამ ძალიან აზარალა ხალხი, გვაზარალა ჩვენც, მმართველი ძალა, მაგრამ ეს იყო იძულებითი და აუცილებელი ნაბიჯი. ქვეყანაში პირველად შეიცვალა ხელისუფლება არჩევნების გზით და აუცილებელი იყო, შეგვენარჩუნებინა სახელმწიფო ინსტიტუტები, იგივე პრეზიდენტის ინსტიტუტი, ადგილობრივი თვითმმართველობები. ჩვენ არ წავედით რევანშის გზით, მართალია, იძულებითი იყო კოჰაბიტაციის ეს პროცესი, მაგრამ ამით ქვეყანას შიდადაპირისპირება ავაცილეთ თავიდან, რითაც საბოლოოდ, ძალიან ბევრი მოიგო.

**— გიორგი მარგველაშვილი, სხვა კანდიდატებთან შედარებით, მოზომილია წინასაარჩევნო დაპირებებში, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მცირეს პირდება ხალხს. რამდენად შეძლებს უფლებებშეზღუდული პრეზიდენტი მათ შესრულებას?**

— მარგველაშვილი ისეთს არაფერს პირდება ხალხს, რისი შესრულების რესურსიც, კანონითა და კონსტიტუციით, თუნდაც ახალ, უფლებებშეზღუდულ პრეზიდენტს არ გააჩნია. ის რეალისტია და იმაზე მეტს არავის პირდება, რის შესრულებასაც მერე ვერ შეძლებს. გიორგის იმედი აქვს, რომ ამ დაპირებების რეალიზებაში, ჩვენ, მმართველი გუნდი, დავუდგებით გვერდით. ასეც იქნება, ის ჩვენი თანაგუნდელია, მის მიერ გაცემული დაპირებები, ჩვენი დაპირებებიცაა. ამდენად, ყველანაირად ხელს შევუწყობთ, რომ ეს დაპირებები შეასრულოს.

**— ახალ პრეზიდენტს, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის, დამბალანსებელი ფიგურის ფუნქციაც ეკისრება. რამდენად შეძლებს ამის გაკეთებას გიორგი მარგველაშვილი?**

— მისი პიროვნული თვისებები, ხანმოკლე, მაგრამ წარმატებული საქმიანობა პოლიტიკაში, გვაძლევს საფუძველს, რომ იგი სწორედ ისეთი პრეზიდენტი იქნება, როგორიც ქვეყანას სჭირდება. ის შეძლებს ყველა დონის ხელისუფლების — საპარლამენტო, მინისტრთა კაბინეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დაბალანსებას. საამისო უნარი ნამდვილად გააჩნია.

# მიშას ღირსი ხარ შენ, ნაცმოძრაობავ!

*მე-3 გვერდიდან*

მოუთმენლად ველოდი სააკაშვილის გამოსვლას, მაგრამ მანამდე სცენაზე ნაცმოძრაობის ქალბატონებმა გაინარნარეს. ეჰ, მაგათ რომ ჭკუა ჰქონდეთ, იმ პენელოპა კრუსის ორეულს შეიყვანდნენ პარტიაში და ტელევიზიითაც ხშირად გამოაჩენდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ამისთვის აღარ სცალიათ და ირმას, მარიამის, თამარისა და ხათუნების იმედად არიან. როგორც იქნა, სცენაზე მიშაც გამოჩნდა, რასაც ისეთი ღრიანცელი მოჰყვა, ბაქრაძეს, წესით, კანდიდატობაზე უარი უნდა ეთქვა...

— ჩვენ აშენებულს ანგრევენ, ჩვენ მიერ მოფიქრებულ იდეებს ითვისებენ, ჩვენ იმაზე მალე დავბრუნდებით ხელისუფლებაში, ვიდრე ეს „ოცნების“ მხარდამჭერებსა და ლიდერებს ჰგონიათ, — დააგუგუნა მიშამ და სპორტის სასახლეშიც ისეთი ყიჟინა ატყდა, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს არც კი დასიზმრებიათ — ჩვენ არ ვართ რევანშისტები. რა გამოვა, თუ ჩვენი დაბრუნების შემდეგ, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს დავიჭერთ, ეს ხომ სისულელე და აბსურდია. ისინი კი სწორედ ასე იქცევიან, — ღრიალებდა (თავადაც თქვა, ვღრიალებდი და ხმა წამერთვაო) სააკაშვილი და ის კი არ გაიხსენა, 2003 წელს, ხელისუფლებაში მოსული ნაციონალები, ცეცხლითა და მახვილით რომ გაუსწორდნენ ყოფილ მაღალჩინოსნებს.

ყრილობა დასასრულისკენ მიდიოდა და სიგარეტის მოწევა დავაპირე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — ყველა კარი დაკეტილი დამხვდა და თავაზიანად მპასუხობდნენ, დამთავრდება და გაგილებთო. გადავირიე, ტყვე კი არ ვარ, გამიშვით, ბატონო, გარეთ-მეთქი და, გვარიანი ჭიდაობის შემდეგ, ერთი კარი გაიხსნა. კარი გაიხსნაო, იხუვლა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა და გარეთ გამომყვა. ზოგს სიგარეტი უნდოდა, ზოგს საპირფარეშო, ზოგი კი სპორტის სასახლის წინ მოშიშხინე მწვადისკენ გარბოდა. ყრილობა მალე დასრულდა და ხალხი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას მოედო. ფოთელთა ავტობუსის მძღოლი ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა, აქ არ დასხდეთ, იყიდეთ, რაც გინდათ და გზაში ჭამეთო. მართლაც, ავტობუსში კახური ღვინო, ჩურჩხელა, შოთის პური და გუდის ყველი ბლომად აიტანეს. მძღოლმა ერთი გახედა მგზავრებს და გულიანად შეიკურთხა, რა ჩაიყვანს ამ მთვრალ ხალხს ფოთში, ამათი...

**P.S. შინ მოსულმა დავაფიქსირე, რომ ჩემს აკრედიტაციას არც სახელი ეწერა და არც გვარი. მაშინ მივხვდი, რომ იქ მთავარი მისვლა და სასახლის გავსება იყო, თორემ ვინ მივიდოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა.**

# კობა ჰამაკში

რეზო შატაკიშვილი









ელიზაბეტ ტეილორს ქმრების ცვლა უყვარდა, კობა დავითაშვილს პარტიების ცვლა უყვარს, თუმცა ლიზ ტეილორის რეკორდამდე ჯერ ადრეა – მხოლოდ ოთხი პარტია გამოიცვალა – მოქკავშირი, ნაცმოძრაობა, კონსერვატორები, ხალხის პარტია. კოალიციებს აიუნში ნუ ჩავაგდებთ. ტეილორის რეკორდამდე ჯერ ადრეა, მაგრამ კობაც ჯერ სულ 42 წლისაა. პრეზიდენტობა თუ არა, მთელი ცხოვრება წინ აქვს. ჰო, მართლა, ტეილორთან კიდევ ერთი რამ აახლოებს – ტეილორი იყო პირველი მსახიობი ქალი, რომლის ჰონორარი მილიონებს აჭარბებდა. სულ ტყუილად ფიქრობთ, რომ ახლა იმ 20 ათასის შეხსენებას ვაპირებდი, კობამ „ნა ვერტილე“ რომ იშოვნა, იმ მილიონ ასი ათასს ვგულისხმობ, ივანიშვილმა რომ უფეშქაშა. არადა, იყო დრო, კობას ძნელად თუ წარმოიდგენდი ფულად კონტექსტში. ის დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების სადარაჯოზე იდგა. შემდეგ ეს პოსტი მიატოვა და სხვათა მსგავსად, პარტიებში გაინავარდა, თუმცა კორუცფიისგან შორს მყოფის იმიჯს კვლავაც ინარჩუნებდა და სწორედ აქ სდრუზა „ნავერტილე“ პენალი სააკაშვილის ხელისუფლებამ.

თავის დროზე, პოლიტიკაში ის მოწინავე პოზიციებზე იდგა, ასე ვთქვათ, ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა, მაგრამ თანდათან განაპირდა და სათადარიგოში აღმოჩნდა. თეატრალურ ენაზე რომ ვთქვათ – ჰქონდა წამყვანი როლი, იქცა ეპიზოდურის შემსრულებლად, თუმცა ხანდახან, ახერხებს დროებით იქცეს მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებლად. რამ გამოიწვია მისი ჩამოლაზორანტება? ბიძინა ივანიშვილმა „გადაანალიზა” და დაასკვნა, რომ დავითაშვილს ეშინია მთავრობაში მუშაობის და წინა მთავრობაშიც უარი თქვა თავდაცვის მინისტრობაზე. თავად ბიძინამ ეს დასკვნა ისევ გადაანალიზა და უკან წაიღო შემდეგ, მაგრამ იქნებ, მართლაც, ესაა კობას პარადოქსი, თავს კომფორტულად ოპოზიციაში გრძნობს და ეშინია შემდეგ მთავრობაში მუშაობის, პასუხისმგებლობას აღების? იქნებ, მართლაც, მოხეტიალე ფორვარდია და მისი სტიქია თავდასხმაში თამაშია? ალბათ, არც უამისობაა, მაგრამ კიდევ არის ერთი და ბევრად მნიშვნელოვანი გარემოება – მას არ შეუძლია წყენის დავიწყება, ვერ დგება პირად წყენაზე მაღლა. ცხადია, აქ საუბარი არ გვაქვს პატიებაზე, მიტევებაზე – მორალურ კატეგორიებზე, ლაპარაკია იმაზე, რომ პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს წყენის გადაყლაპვა – ისევ და ისევ იმიტომ, რომ საკუთარი მიზნები არ დარჩეს გვერდით. ფაქტია, მან ვერ შეძლო იმ წყენის დავიწყება თუ არა, დროებით, გვერდით გადადებაც კი, რაც ჰქონდა და აქვს სააკაშვილისგან, აგერ უკვე ათ წელიწადზე მეტია. შეგნებულად გავურბივარ ისეთ ლექსიკას, როგორიცაა „ბოღმა”, „გულღრძო”, „შურისძიება” და ა.შ. თუმცა ფაქტია, ამ სტაჟის წყენა უკვე ბოღმაა და უკვე შურისძიებისკენ უბიძგებს ადამიანს. მე თუ მკითხავთ, კობა დავითაშვილს სწორედ ამ თვისებებმა შეუშალა ხელი დიდ პოლიტიკაში, არადა, რომ არა ეს თვისებები, მას ჰქონდა პოტენციალი, გამხდარიყო ახალი ქვეყნის ერთ-ერთი არქიტექტორი. არქიტექტორობა არც მიშას და არც ბიძინას დროს არ ისურვა, ეტყობა, მეტზე აქვს ამბიცია – „კობას დროზე“ და სწორედ ამიტომაც იყრის კენჭს.

ასეთი მაინც რა ეწყინა კობა დავითაშვილს, რატომ გადაემტერა სააკაშვილს? ნაციონალებს ოფიციალურად, 2004 წელს განუდგა, მიზეზად კი საკონსტიტუციო ცვლილებები დაასახელა. „დაუშვებელია კონსტიტუციის შეცვლა ზურაბ ჟვანიასთვის, რომელსაც სურს, გახდეს პრემიერ-მინისტრი”, – თქვა მაშინ და გენმდივნის პოსტიც დატოვა და ნაცმოძრაობაც. არადა, ვარდების რევოლუციის მერე მალევე გავრცელდა ცნობა, რომ ის სააკაშვილს ემიჯნებოდა. გენპროკურორობა უნდოდა, მაგრამ არ დანიშნეს, თავდაცვის მინისტრობაზეც იყო საუბარი, რაც ბიძინამაც გაიხსენა და თქვა, დავითაშვილმა თქვა მაშინ უარიო. დავითაშვილი ჟვანიას მანამდეც ვერ იტანდა და შემდეგ მისმა გაპრემიერებამ აუვსო მოთმინების ფიალა, მოკლედ, მხოლოდ კონსტიტუციის გაკრეჭვა არ იყო კობას განდგომის მიზეზი. მეტიც – კობა ნაცმოძრაობის დატოვებას ბევრად ადრე აპირებდა, ჯერ კიდევ 2003 წლის გაზაფხულზე, მაშინ არც კონსტიტუციის ცვლილებებზე იყო საუბარი, არც ჟვანიას პრემიერობაზე, არც რომელიმე პოსტზე. რევოლუციამდე ბევრად ადრე გამოჟონა ინფორმაციამ, რომ დავითაშვილი ნაცმოძრაობის დატოვებას აპირებდა, ეს გავრცელებული ხმები კობა დავითაშვილს მაშინ ძალიან აბრაზებდა, მაგრამ კულუარებში მართლაც რომ ასე იყო საქმე, კობა დავითაშვილი უკვე მაშინ ვეღარ უწევდა შიდაკონკურენციას ირაკლი ოქრუაშვილს, ვანო მერაბიშვილს, კოტე კემულარიას. გაღიზიანებული იყო და უკვე იბუტებოდა ნელ-ნელა, მაგრამ მერე რევოლუციამ გადაავიწყა დროებით წყენა და აქტიურად იბრძოდა შევარდნაძის წინააღმდეგ. რევოლუციის შემდეგ ძველ წყენებს ახალი დაემატა და სააკაშვილს განუდგა. იქნებ არც გაემტყუნებოდა, როცა ამ გადაწყვეტილებას იღებდა, მაგრამ მერე იმ კაცს, ვის გვერდითაც წლობით მხნედ იდგა, ვისაც ბავშვს ანათვლინებდა, გინება დაუწყო და ტელევიზიით საჯარო შეურაცხყოფა. პიროვნული შეურაცხყოფა, თორემ პოლიტიკოსს პოლიტიკოსის ლანძღვას ვინ უშლის? ამ ზღვარგადასულ ლანძღვამდე კი იყო დაყვედრება და დამადლება – აი, ამ მხრებით მოგიყვანე ძალაუფლებაშიო. ვინ ვინ მოიყვანა ძალაუფლებაში?

კობა დავითაშვილი მოქკავშირელი იყო. ვიდრე პოლიტიკურ სარბიელზე გამოვიდოდა ამ პარტიის ეგიდით, მანამ ამ პარტიას ცესკო-ში ემსახურებოდა. ის ჯერ კიდევ 1992 წელს იყო ცესკო-ს იურიდიული განყოფილების იურისტი. შემდეგ შევარდნაძის აპარატში მსახურობდა საკონსტიტუციო აქტების მომზადების სამსახურში, სახელმწიფო მრჩევლის რანგში. მერე აფხაზეთის ომშიც იბრძოდა, ეს მისი ბიოგრაფიის ის ეპიზოდია, რომელსაც ნამდვილად ვერ გაახუნებს თავადვე, სადაც უნდა იაროს. მერე ხან კონტროლის პალატაში მუშაობდა, ხან პარლამენტში. 1995 წლის არჩევნების დროს ისევ ცესკო-ში, ოღონდ უკვე იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1996 წლიდან პარლამენტის იურიდიულ დეპარტამენტში მუშაობდა კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზა-ვიზირების განყოფილების უფროსად. იურიდიული კომიტეტის აპარატის უფროსიც იყო. მოღვაწეობდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში, იყო „გრანდ აუდიტის“ დირექტორი. 1998 წელს თბილისის საკრებულოს წევრი გახდა მოქკავშირიდან. იყო დრო, პასპორტის გრაფიდან ქართველის ამოღებას ხმალდახმალ ითხოვდა, ჭკუასაც გვარიგებდა ხოლმე — დავით აღმაშენებელს რომ ყივჩაღები ჩაეწერა პასპორტში, დღეს ყივჩაღების ავტონომია გვექნებოდაო. თბილისის საკრებულოს წევრობისას იცავდა კბილებით ქალაქის ადვოკატის პროექტს. მაშინ ამის გამო არაერთ კოლეგასა და განსხვავებულად მოაზროვნეს დაუპირისპირდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა, რომ არც ისე შემწყნარებელია განსხვავებული აზრის მიმართ და ლიბერალური ღირებულებანი გულზე სულაც არ ეხატება. 1999 წელს საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. მაშინ ამბობდნენ, რომ მოქკავშირმა ცესკო-ში გაწეული გარჯა დაუფასა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ 1999 წელს, ის მოქკავშირის სიაში სააკაშვილის კვოტაში შედიოდა. დავითაშვილის „ცესკური“ წარსული და ოდესღაც შევარდნაძის აპარატში კობას მუშაობა კი მიშას იმაში დაეხმარა, რომ მოქკავშირში მას კობას პერსონა არ დაუბლოკეს. მოკლედ, ის პოლიტიკაში მიშამ მოიყვანა, მერე რა, რომ მოგვიანებით, აქეთ დააყვედრა მხრებით მოყვანა, მაგრამ უნდა აიტანოს ეს მიხეილმა – იყო დრო, როცა სწორედ კობა იგერიებდა ყველას, ვინც მიშასგან განსხვავებულად ფიქრობდა. მან, მართლაც, დიდი წვლილი შეიტანა იმ კაცის ვარდებით გაბუნძულებაში, ვის აპარატშიც ადრეულ ყრმობაში მსახურობდა.

სააკაშვილი საქართველოს მთავარ უბედურებად გამოაცხადა — იმისთვის ვიბრძვი, საქართველოს ეს უბედურება მოვაშოროო. კი, მაგრამ თვითონ არ შეუწყო ხელი მის აღზევებას?! განა თავად არ იყო ნაცმოძრაობის გენმდივანი? აა, ცდებოდა? მაშინ ცდებოდა და შემდეგ გონს მოეგო? გამოფხიზლდა? ახლაც გონს მოეგო, ბიძინას ორბიტა რომ დატოვა? გადაწყვეტილებებს ხალხის ინტერესების საზიანოდ, ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე იღებენო. კი, მაგრამ რამდენჯერ უნდა ჩაიძინოს და გაიღვიძოს, პოლიტიკაშია თუ ჰამაკში წევს? რა გარანტია გვაქვს, რომ ახლაც არ ცდება და ცოტა ხანში არ გამოვა და გვეტყვის — ვცდებოდიო?

ნაცმოძრაობის დატოვების შემდეგ, პარტია „ეროვნულ ძალთა გაერთიანება — კონსერვატორების“ ბაზაზე, ზვიად ძიძიგურთან ერთად, დააარსა კონსერვატიული პარტია, რომელიც „ნავერტილე“ სკანდალის შემდეგ დატოვა და საკუთარი პარტია დააარსა. მერე რა ქნა? თავი იმ გაერთიანებულ ოპოზიციაში ამოჰყო, სადაც ათასი ჯურის ხალხი იყო, რომელთა ღირებულებებთან მას საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ რას იზამდა? აკი თავად მოუწოდებდა ოპოზიციას გასაერთიანებლად? რამდენ მტერს ამოუდგა გვერდით სააკაშვილზე გადამტერებული? შემდეგ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა და ახლა მას დაუმოყვრდა – არც რა წაუგია, მილიონ ასი ათასიც მიიღო და საპარლამენტო სიაში მე-11 კაცადაც ჩასვეს, თუმცა დღეს ამბობს, რომ მისი პარტია კოალიციაში არც მიუღიათ და ეს თანხა ოცნების კამპანიას მოახმარა. ნაციონალები დამარცხდნენ, წესით, გულზე უნდა მოშვებოდა, მაგრამ კვლავაც გიზგიზებს – ნაციონალ რატიანს იმ ფორმით დაუპირისპირდა, რომ თავისიანების კრიტიკაც კი გაინაღდა. კობას ლექსიკა ამოუწურავია — ინტელექტუალური საუბრიდან, იურიდიულად გამართული ტექსტებიდან მამაპაპურ ლანძღვა-თათხვამდე, გინებამდე. მერმე თავისიან მინისტრსაც ეცა – სერგეენკოს და სადაზღვევო კომპანიებთან კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა. ამჯერად უკვე ბიძინა ივანიშვილის ჩხუბი და საჯარო საყვედური მიიღო, მეტიც, როგორც თავად ამბობს, შეურაცხყოფა — „ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ სერგეენკო იმაზე მეტ საქმეს აკეთებს, რაც კობა დავითაშვილს მთელი ცხოვრების მანძილზე გაუკეთებიაო. ჩემთვის ამაზე დიდი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია“, – წუხდა კობა. წუხდა, მაგრამ ეს შეურაცხყოფა აიტანა, აი, ბაჩო ახალაიას გამართლება კი ვეღარ, უფრო სწორად, ის რეაქცია, რაც ბაჩოს გამართლებას მოჰყვა „ოცნებაში“ და ოცნება დატოვა – ჰამაკიდან კიდე ერთხელ გადმოხტა და პრეზიდენტობა გადაწყვიტა.

# დავით ზურაბიშვილი: „არ დავაკონკრეტებ, თუმცა ფაქტია, საკმაოდ ბევრი ნაგავი ამოტივტივდა, სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ საბაბად რომ იყენებს!“



რუსუდან შელია
557-100-768

**ზურაბ ადეიშვილის მიმართ პრემიერის დამოკიდებულებას არ იზიარებს და ამბობს, რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრი მსხვერპლი კი არა, წინა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. არც ბიძინა ივანიშვილის ექსპერტებსა და მედიასთან შეხვედრის ფორმატი მოსწონს და მიიჩნევს, რომ ბიზნესცენტრში პრემიერი პოლიტიკიდან წასვლამდე რეპეტიციას გადის. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „ვერსიასთან“ კოალიციის ერთწლიან მუშაობას აფასებს და მთავრობის შეცდომებზეც საუბრობს.**

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, „ქართული ოცნების“ მთავარ მონაპოვრად, ტოტალიტალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი წნეხისგან გათავისუფლება და შიშის სინდრომის მოხსნა უნდა ჩავთვალოთ. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პირობებში, საზოგადოება პოლიტიკური შეხედულებების ხმამაღლა დაფიქსირებას ერიდებოდა, სასამართლო სრულად პოლიტიზირებული იყო, ნულოვანი ტოლერანტობის ფონზე, ციხეებში რაც ხდებოდა, ყველამ კარგად იცის... ფაქტობრივად, სააკაშვილი 2007 წლიდან მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებით იყო დაკავებული.

— **სწორედ ამიტომ, ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ თქვენ რა შეცვალეთ ამ ერთი წლის განმავლობაში?**

— ეს ყველაფერი იმისთვის გავიხსენე, რომ საზოგადოებამ კარგად გაიაზროს, ახლა რა ვითარებაში ვცხოვრობთ. ნაციონალების მძიმე მემკვიდრეობის დაძლევა იოლი სულაც არ იყო. არ ვამბობ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ავშენდით, პირიქით, საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ თუ წარსულს გავიხსენებთ და ყველაფერს იდეალისტის თვალით არ შევხედავთ, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ კოალიციამ ერთი წლის განმავლობაში ნორმალურად იმუშავა. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ერთ-ერთ სერიოზულ მიღწევად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნასაც დავასახელებდი.

— **თუ სასამართლომ ბაჩო ახალაია ან ვანო მერაბიშვილი გაამართლა, ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებთ, რომ ისინი უდანაშაულოები არიან?**

— თუ ბაჩო ახალაიას სასამართლო გაამართლებს, ეს პროკურატურის კრახი იქნება და არა მოსამართლის, რადგან ამ ადამიანზე ოდიოზური, პირადად მე, საქართველოში არ მეგულება და არ მესმის, რატომ უჭირთ ამის დადგენა. ფაქტია, პროკურატურა თავისუფალ პირობებში მუშაობას მიჩვეული არ არის. ერთ მაგალითს გავიხსენებ: ჩვენ თანაპარტიელ მერაბ ქათამაძეს „საკნების აქციის“ დროს ჟანგიანი იარაღი ჩაუდეს. არადა, ამ ადამიანს მაშინ ხელისუფლების პირველი პირები, მათ შორის მიხეილ სააკაშვილი, გიგა ბოკერია და სხვები, საკმაოდ კარგად იცნობდნენ. სასამართლო პროცესზე პროკურატურამ ქათამაძის წინასწარი პატიმრობა მოითხოვა, თუმცა რამდენიმე წუთში შევამჩნიე, რომ პროკურორს ტელეფონზე შეტყობინება მოუვიდა, რის შემდეგაც მოსამართლეს წინასწარი პატიმრობის ნაცვლად, ჩვენი თანაგუნდელის გირაოთი გამოშვება მოსთხოვა. მოსამართლეც მაშინვე დათანხმდა. როგორც ჩანს, დირექტივები „ზემოდან“ მიიღო. ასეთი პროკურორების 80% დღემდე კბილაშვილის უწყებაში მუშაობს, რადგან, როგორც ჩანს, მათი გამოცვლა ადვილი არ არის. არადა, ამ ადამიანებმა საქმის გამოძიება და რეალური მტკიცებულებების მოძიება არ იციან. ასე რომ, თუ პროკურატურა დღეს მეტ-ნაკლებად სუსტია, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, უწყება იუსტიციის სამინისტროდან იმართებოდა.

— **და რატომ გახდა ამ სისტემის მმართველი ზურა ადეიშვილი ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი ჩინოვნიკი და თუ იზიარებთ პრემიერის განცხადებას, რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრი მიხეილ სააკაშვილის მსხვერპლი იყო?**

— პრემიერ-მინისტრის განცხადება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო... ზურაბ ადეიშვილს დიდი ხანია ვიცნობ და ვაღიარებ, მართლაც, ძალიან ნიჭიერი ადამიანია. როცა სააკაშვილი პარლამენტის წევრი იყო, ყველა კანონპროექტს ადეიშვილი უწერდა, მაგრამ ერთია — ნიჭიერება, მეორე — რაში იყენებ შენ ნიჭს. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ადეიშვილი სააკაშვილის მსხვერპლი იყო, პირიქით, ის ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიის ერთ-ერთი შემოქმედია. სწორედ ასეთი ადამიანები გახდნენ მიზეზი, რომ ქვეყანაში ყველაზე გათახსირებულებსაც კი იმის ამბიცია გაუჩინა, ნაციონალებზე უკეთესი ვარო. პირველი ოქტომბრის შემდეგ სწორედ ასეთმა ადამიანებმა ნელ-ნელა ზედაპირზე ამოტივტივება დაიწყეს და ახლა სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ, რასაც უნდათ, ქვეყნის დასავლური ღირებულებები გადააყოლონ.

— **ვის გულისხმობთ?**

— არ დავაკონკრეტებ, თუმცა ფაქტია, საკმაოდ ბევრი ნაგავი ამოტივტივდა, სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ საბაბად რომ იყენებს. რა თქმა უნდა, ამ ჯგუფში იმათ არ ვგულისხმობ, ვისაც ნაციონალურმა მოძრაობამ ქონება უკანონოდ წაართვა, დააკავა ან აწამა. დაზარალებული მოქალაქეების ხარჯზე რეინკარნაციის სურვილზე ვსაუბრობ, მათ შორის, ბურჯანაძეზე, რომელიც ამ განწყობის გამოყენებას ცდილობს. საბედნიეროდ, საზოგადოების უმეტეს ნაწილს ესმის, რომ ერთბაშად სამართლიანობის დამკვიდრება იოლი არ არის, ვერც ჩამორთმეულ ქონებას დავაბრუნებთ ერთ წელიწადში — ეს ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ამ ფონზე, ანტიდასავლურ კურსზე საუბარი მიზანმიმართული, მავნე პოლიტიკის ნაწილია.

— **და როცა პრემიერი ევრაზიულ კავშირზე საუბრობს, ეს ვისი მიზანმიმართული პოლიტიკაა?**

— პრემიერმა თავისი განცხადება მოგვიანებით სრულად განმარტა. შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს დიპლომატიური ვირტუოზობა დავუწუნოთ, მაგრამ კოალიციის დასავლური კურსი დეკლარირებულია და ამ ყველაფერს ვილნიუსის სამიტიც მოწმობს, სადაც ევროკავშირთან ასოცირების პარაფირება მოხდება. რა თქმა უნდა, პირადად მე, არ ვფიქრობ, რომ რუსეთი საქართველოს მეგობარია, მაგრამ ვერც ნაციონალური მოძრაობის რიტორიკასა და ჯინში ჩადგომას გავიზიარებ, რამაც მხოლოდ ჩვენ დაგვაზარალა.

— **სადემარკაციო სამუშაოების ფონზე, მთავრობის დუმილის გამო, სალომე ზურაბიშვილი რესპუბლიკელებსა და თავისუფალ დემოკრატებს კითხვას გისვამთ — საით მიდიხართ და რატომ არ იღებთ ხმას ქვეყანაში რუსული ძალების გაძლიერების გამო. გაქვთ მის კითხვაზე პასუხი?**

— დიცსა და დვანში მიმდინარე სადემარკაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, ხელისუფლების რეაქცია მართლაც დაგვიანებული იყო. მაშინვე უნდა გვეზრუნა იმაზე, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ხმა მასშტაბური კამპანიის საშუალებით მიგვეწვდინა. სამწუხაროდ, რუსეთთან სხვანაირი ურთიერთობა წარმოუდგენელია. სალომე ზურაბიშვილს კი მარტივად ვუპასუხებ — ჩვენ ევრაზიული კავშირისკენ არ მივდივართ. თვით იანუკოვიჩიც კი მიხვდა, რომ რუსეთთან თანამშრომლობას, ევროკავშირის მიმართულებით სვლა სჯობს და, როგორ ფიქრობთ, ქართველები ახალ საბჭოთა კავშირში შევალთ?! ჩემს პოზიციას რუსეთთან მიმართებაში ყოველთვის მოურიდებლად დავაფიქსირებ, მაგრამ გასაგებია, როცა პრემიერი საკუთარ პოზიციას, თანამდებობიდან გამომდინარე, შერბილებულად აფიქსირებს.

— **რამდენად გამართლებულია პრემიერის ხისტი შეხვედრები ექსპერტებსა და მედიის წარმომადგენლებთან?**

— გეთანხმებით, პრემიერ-მინისტრმა მსგავსი შეხვედრების ჩასატარებლად სწორი ფორმა ვერ შეარჩია, მაგრამ, როგორც ჩანს, ის საზოგადოებრივ სექტორში გადასვლამდე ერთგვარ რეპეტიციას გადის — პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ექსპერტებსა და ჟურნალისტებთან სწორედ ამ ფორმატით გააგრძელებს ურთიერთობას.

— **და მომავალშიც სამოქალაქო სექტორს ხელისუფლების კრიტიკისთვის განმარტებებს მოსთხოვს?**

— ბიძინა ივანიშვილი წარმავალია. ის წასასვლელად გამზადებული პოლიტიკოსია, მაგრამ ისიც ვაღიაროთ, რომ ცხრა წლის განმავლობაში ჟურნალისტები კითხვაზე პასუხებს ვერ იღებდნენ. დღეს ხელისუფლება საზოგადოებასთან აბსოლუტურად გამჭვირვალე რეჟიმში მუშაობს. ეს კოალიციის ერთიანობასაც უწყობს ხელს.

— **თუმცა პრემიერი აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „ერთი-ორი პოლიტიკოსი სიტუაციის გადაყირავებას“ ცდილობს.**

— კოალიციაში შემავალი პარტიებიდან სიურპრიზებს ნამდვილად არ ველოდები. ბუნებრივია, შიგნით ვიკამათებთ მომავალ კანდიდატურაზე, რადგან იდეაში, პრემიერი კოალიციის მიერ შერჩეული ადამიანი უნდა გახდეს. სხვაგვარად მთავრობა, უბრალოდ, ვერ იმუშავებს.

— **ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურას ხომ კოალიციამ ერთხმად დაუჭირა მხარი, მომავალი პრემიერის შერჩევისას „ქართული ოცნების“ ლიდერს შეეწინააღმდეგებით?**

— გიორგი მარგველაშვილი კოალიციამ ერთობლივად შეარჩია. მართალია, საპრეზიდენტო კანდიდატად ბიძინა ივანიშვილმა წარმოგვიდგინა, მაგრამ გიორგი ჩვენთვისაც აბსოლუტურად მისაღები პიროვნებაა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, კოალიციამ ლიდერის გარეშე ქვეყნის მართვა უნდა განაგრძოს, ამისთვის კი თითოეული პარტიის ლიდერის აზრის გათვალისწინება აუცილებელია.

— **ბიძინა ივანიშვილი თანაგუნდელების აზრს არ ითვალისწინებს? თანაც თუ ამბობთ, რომ მომავალი პრემიერი გუნდის ლიდერი ვერ იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველის გარეშე დარჩენილ ჭრელ კოალიციაში დაპირისპირება გამწვავდება, რაც საბოლოოდ, ვადამდელ არჩევნებამდე მიგვიყვანს?**

— მხოლოდ იმას ვამბობ, რომ თუ ჩვენ აზრსაც არ გაითვალისწინებენ, დიახ, შესაძლოა, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს. მომავალ პრემიერს მთავრობაზე გარკვეული გავლენა ექნება, მაგრამ არა იმ დოზით, როგორც დღეს ბიძინა ივანიშვილს აქვს, ამიტომაც როგორც კოალიციას, ასევე საზოგადოებას გამოცდა ელის, რამდენად მოვახერხებთ გუნდური პრინციპით, ლიდერის გარეშე ქვეყნის მართვას. ამ შემთხვევაში, პროგნოზის გაკეთება უმადური საქმე იქნება — შესაძლოა, ყველაფერი თავისთავად დარეგულირდეს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ რთულ ვითარებაში აღმოვჩნდეთ.

— **რესპუბლიკელებს მალე პარტიული ყრილობის ჩატარება გაქვთ დაგეგმილი, პარტიის ახალი თავმჯდომარე თქვენ იქნებით?**

— ჩემი კანდიდატურა პარტიის თავმჯდომარის პოსტზე ნამდვილად არ განიხილება, რადგან კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობები. ახლა დავით უსუფაშვილის მრჩევლის სტატუსით ქუთაისში ვმუშაობ, დანარჩენი კი ყრილობაზე გადაწყდება.

## ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# მიშარდ ოთხგული, მისი რაინდები, ბიძა და ბოძები

*მე-2 გვერდიდან*

„ჩემს შვილებს ასე ვზრდი, რომ ოპონენტი გიყვარდეს უფრო მეტად, ვიდრე მეგობარი შენი, ის გაჩვენებს უფრო სწორ გზას“, — განაცხადა გასულ კვირაში ბიძინა ივანიშვილმა. მგონი, მე და მაგ კაცს მეგობრობაზე სხვადასხვა შეხედულება გვაქვს. მოყვარეს პირში უძრახეო... — ხომ არ ვცდები? ჰოდა, მოდით, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სიტყვები, რომლებიც ჩოყლაყთუხუცესმა სპორტის სასახლეში წარმოთქვა: „უნდა დავდგეთ ნებისმიერ სიძულვილზე მაღლა და ოპონენტებს, როგორც ძმებს, ისე ვესაუბროთ“. ეჰ, კოჰაბიტაცია... ვერაფერი გავიგე, არადა, გაგება ხომ მთავარია? რა გაძლებს კიდევ სამი კვირა, მაგრამ მეტი რა დაგვრჩენია — უნდა დავსხდეთ და ვიოცნებოთ, მაგრამ როგორც გიულას ბიჭმა თქვა — „დიდხანს ოცნება საშიშია, გაიყინები და დაილუპები“, მაგრამ მაინც ჩემს აზრზე ვარ.

დავით ბაქრაძე: „ციხეებში არსებული სიტუაცია დღესაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს“. დიახ, ციხეებში არსებული სიტუაცია მართლაც არ იძლევა დამშვიდების საფუძველს, რადგან იქ ჯერ კიდევ არ არიან მიშ-მაკაკა, ქლიბი, ზურაბ-ადე, გიგა-ბოკე, კობა-ხაბა, გოგრა-ხათუნა, ნუგზარწუკლარა და სხვები.

ციხეებში არსებული სიტუაცია მაშინ დამამშვიდებს, როცა ვინმე, თუნდაც ვინმესთან შეკრული, ერთხელაც იქნება და გაავრცელებს ვიდეოჩანაწერებს, თუ როგორ თამაშობენ ზემოჩამოთვლილი უფერო, უსქესო, ურწმუნო და უჯიშო არსებები საკანში იაპონურ ჯოკერს და როგორ უმასპინძლდებიან ერთმანეთს ქართული პანღურებით. რაც მაგათ მოხვედრიათ... და ეს არის ის ერთადერთი ქართული, რაც მათ ძალიან კარგად იციან.

„მმართველი პარტია ნებაყოფლობით ტოვებს მმართველობას და ხდება ის, რომ სამთავრობო ბერკეტების შემდეგ, პარტია არ გაქრა, არ გადაიჩეხა ისტორიულ ნაპრალში. ერთ საიდუმლოს გაგიზიარებთ, იმ საღამოს ბევრისთვის ტრაგიკულ საღამოს, როდესაც ჩემს თავზე ავიღე და ისე არავის ვკითხე, რომ გამომეცხადებინა არჩევნების შედეგები, საიდუმლო უნდა გითხრათ, ვიყავი მძიმე და ოპტიმისტურ ხასიათზე იმიტომ, რომ ჩემს თავს ვუთხარი, ეს არის უკან მობრუნების გზის ახალი დასაწყისი“, — ეს სააკაშვილის სიტყვებია და...

„ჭკუით, ქართველებო!!!“ — ეს ჭაბუა ამირეჯიბმა თქვა და მეც ვიმეორებ.

**ა.მ.გ. (ანუ მთავარია გაგება)** „ჭკუვის“ მოხმარებას სჭირდება ცოდნა, სწავლულობა და საშუალებების გამონახვის უნარი. მაგრამ ეს საკმარისი არაა, თუ ადამიანი (თუნდაც უკვე განსწავლული) თავის ვნებათა გამო შეიძლება საკუთარ არსს მოსწყდეს (ვინაიდან ვნებათა გამო საკუთარ თავს არ ეკუთვნის) და ამიტომ იმოქმედოს საკუთარი არსიდან გამომდინარე.

*(კახა კაციტაძე, „მასწავლის ტანჯვა“)*

## თბილისობა-2013

**5-6 ოქტომბერს, „თბილისობის“ პარალელურად, „მარგებელი ჰოლდინგმა“, „მარნეულის მწნილის ფესტივალი“ გამართა. ორთაჭალაში, გორგასლის ხეივანში, რესტორან „მასპინძელოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, „მარგებელი ჰოლდინგის“ პროდუქცია დაეგემოვნებინათ.**

# „თბილისობის“ ფარგლებში „მარგებელი ჰოლდინგმა“, „მარნეულის მწნილის ფესტივალი“ გამართა



ბრენდი M — ხარისხისა და ჯანსაღი საკვები პროდუქტის სინონიმია

„მარნეულის მწნილის ფესტივალი“ წელს პირველად გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორებმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნეს, რომ ფესტივალი ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად ჩატარდება, რადგან წელს უპრეცედენტოდ ბევრი სტუმარი ჰყავდათ. სტუმრებმა „მარგებელი ჰოლდინგის“ პროდუქცია დააგემოვნეს, მათ შორის, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ უგემრიელესი და ქართულ ნედლეულზე დამზადებული მწნილი და საწებლები, „მარნეული აგროს“ ქართულ მიწაზე მოყვანილი კიტრი და პომიდორი, თელეთის „ფერმა მარგებელის“ ნატურალური რძისგან დამზადებული სხვადასხვა სახეობის ყველი.

რაც მთავარია, „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და „მარნეული აგროს“ პროდუქცია ფესტივალის ფარგლებში, სპეციალურ ფასად გაიყიდა. „მარნეულის მწნილის ფესტივალი“ ფოლკლორულმა ანსამბლმა „მოძახილი“ გახსნა. დაახლოებით, 13:00-14:00 საათზე კი „სახალხო დამწნილება“ გაიმართა, სტუმრების თვალწინ, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ გენერალურმა დირექტორმა, ირინა გაფრინდაშვილმა კიტრი საკუთარი ხელით დაამწნილა.

მწნილი საკმაოდ პოპულარულია და თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მათ შორის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. გავრცელების ფართო გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, მწნილი ყველგან განსხვავებული და მრავალფეროვანია.

საკვები პროდუქტების დამწნილება ჯერ კიდევ 4 000 წლის წინ დაიწყეს. მაგალითად, ინდოეთში საკმაოდ პოპულარული კიტრის მწნილი იყო, რასაც ჩრდილოეთ ინდოეთში „აჩარს“ უწოდებენ. დამწნილების მეთოდს სეზონური საკვები პროდუქტების შესანახად იყენებდნენ, მწნილს კი მაშინ მიირთმევდნენ, როდესაც სეზონის მიხედვით ესა თუ ის პროდუქტი არ მოიპოვებოდა. დამწნილებული პროდუქტების წაღება საკმაოდ კომფორტულად ითვლებოდა ხანგრძლივი, საზღვაო მოგზაურობის დროს. საგემოვნო თვისებების გამო, მწნილი საკმაოდ პოპულარულ საკვებად მიიჩნეოდა ადრეც და ახლაც.

„მარნეულის სასურსათო ქარხანა“ „მარგებელი ჰოლდინგის“ ნაწილია, რომელიც 2007 წელს დაარსდა და საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს საწარმოდ ითვლება. ქარხანა, რომელიც ევროპული სტანდარტების დანადგარებითაა აღჭურვილი, 50-ზე მეტი დასახელების, ქართული ნედლეულისგან დამზადებულ, ნატურალურ და გემრიელ საკონსერვო პროდუქტს უშვებს. ქარხანას ნედლეულით ჰოლდინგში შემავალი კომპანია „მარნეული აგრო“ და ადგილობრივი, მცირე სასოფლო მეურნეობები ამარაგებენ. საწარმოს ტექნიკური შესაძლებლობა აქვს, რომ ადგილობრივი ნედლეულის მაღალ ხარისხთან ერთად, ქართული ბაზარი უალტერნატივო პროდუქტით მოამარაგოს. ქილაში ჩადებული თითოეული პროდუქტი ქართულ მიწაზეა მოყვანილი და 100%-ით ადგილობრივია. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბრენდი M, საქართველოში ხარისხისა და ჯანსაღი საკვები პროდუქტის სინონიმად იქცა.

„ვერსია“ „მარგებელი ჰოლდინგის“ დამფუძნებელს, **მიხო სვიმონიშვილს** გაესაუბრა:

**„ამ ფესტივალზე მეც სტუმრის სტატუსით ვიმყოფები, მაგრამ მთავარია, ჩვენი პროდუქტები და ჩვენი ბრენდი უკვე სახალხო ბრენდად ითვლება, რომელიც მთელმა საქართველომ შეიყვარა. ჩვენი ამოცანა შესრულებულია და ვაგრძელებთ განვითარებას, რომ იმპორტი რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი პროდუქციით ჩავანაცვლოთ. როგორც ხედავთ, ამ ფესტივალის მიმართ დიდი ინტერესია, რადგან უამრავი სტუმარი გვეწვია, ამიტომ ვფიქრობ, „მწნილის ფესტივალი“ ტრადიციულ სახეს მიიღებს და ყოველწლიურად გაიმართება“.**

„მარგებელი ჰოლდინგი“ მომხმარებელს ყოველთვის სთავაზობს ახალ და განსხვავებულ პროდუქტს. წელს ბრენდი M ნიშნით პომიდვრის სალათი „ლეჩო“ და „აჯიკა“ გამოუშვეს, რაც საკმაოდ გემრიელია. რაც შეეხება ტრადიციულ პროდუქციას, „ბოსტნეულის ასორტს“, „ტომატ-პასტას“, „კიტრის მწნილს“, „პომიდვრის მწნილს“, „კიტრისა და პომიდვრის მწნილს“ (შერეული), „ცოცხალი პომიდვრის საწებელს“, „წითელ ტყემალს“, სხვადასხვა ხილის კომპოტებსა და მურაბებს, ასევე „ნაბეღლავსა“ და „ბახმაროს“, ახალი შეფუთვით, სხვადასხვა ზომის ქილებსა და ლამაზ ბოთლებში წარმოადგინეს.

*მაია მიშელაძე*

## საზოგადოება

# როდემდე უნდა იწამლებოდნენ საკვებით ქართველი ჯარისკაცები?



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციით, 16-22 სექტემბრის შუალედში, 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე-11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი დაფიქსირდა.**

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი აცხადებს: **„ბოლო პერიოდში, ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებული ფაქტები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებული პრობლემები გამოუსწორებელია და შეცვლილი მენეჯმენტი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ლოჯისტიკის სფეროში არსებული საკითხების შესაბამის გადაწყვეტასა და ხარვეზების აღმოფხვრას. კიდევ ერთხელ მივმართავთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს და სათანადო რეაგირებისკენ მოვუწოდებთ. მართალია, კომპანია „ქართული კვების“ მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ-ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება“.**

ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ მოუწოდებს და მიმართავს, დასვას კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე-11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში უტყუარია. ორგანიზაციაში იმედოვნებენ, რომ თავდაცვის სამინისტრო „ფაქტის მიჩქმალვას“ არ შეეცდება.

თავის მხრივ, თავდაცვის სამინისტრო „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე არაფერს ამბობს, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ლევან ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ უწყება ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებს და „ახალგაზრდა ადვოკატებს“ ინფორმაციის გავრცელებამდე მისი სინამდვილის გადამოწმებას ურჩევს.

„ვერსიასთან“ საუბრისას არჩილ კაიკაციშვილი აცხადებს, რომ ორგანიზაციის განცხადება ძალაშია და მასში მოყვანილი ფაქტები უტყუარია: **„სამინისტრომ კომენტარი არ გააკეთა, რაც ნიშნავს, რომ არგუმენტი არ გააჩნიათ. საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობის ნაწილშიც უწყებას პოზიცია არ აქვს, რაც ორგანიზაციის მიერ დადასტურებულ ფაქტს კიდევ უფრო ამყარებს. ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ჩვენ ივლისში განვაცხადეთ, რომ სენაკის სამხედრო ბაზაზე 52 ჯარისკაცი მოიწამლა, რაზეც სამინისტრომ მიუთითა, რომ საზოგადოება შეცდომაში შეგვყავდა და ასეთი შემთხვევა არ ყოფილა; აგვისტოში კი სამინისტრომ ოფიციალური წერილით დაადასტურა სენაკში 52 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი და მიუთითა, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა ინფორმაცია არ გვაქვს, რა შედეგებით დასრულდა გამოძიება და პასუხისმგებლობა დაეკისრა თუ არა შემთხვევასთან დაკავშირებულ უფლებამოსილ პირებს. დღეს საზოგადოებას ვაწვდით ინფორმაციას, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას უკვე სხვა სამხედრო ბრიგადები და სამინისტრო კომენტარს საერთოდ არ აკეთებს“.**

ამ ფონზე, არჩილ კაიკაციშვილი სვამს კითხვას, რატომ არ სრულდება თავდაცვის მინისტრის საზოგადოებისადმი დაპირება, რომ ლოჯისტიკის სფეროში უსაფრთხოების დონე და სტანდარტი ყველაზე მაღალი იქნება. კითხვაზე, მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, ვის შეხვდნენ ორგანიზაციის წარმომადგენლები, არჩილ კაიკაციშვილი ამბობს, რომ კომუნიკაცია შედგა როგორც თავდაცვის სამინისტროს, ასევე უშუალოდ, „ქართული კვების“ კომპანიის წარმომადგენლებთან არასამთავრობოთა ფორმატში, რის შემდეგაც კომპანიამ კრწანისის პოლიგონზე, ჯარისკაცების სახელდახელო სადილზეც მიიწვია საზოგადოება, სადაც ყველაფერი იდეალურად იყო.

**„წესრიგი უნდა დამყარდეს ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიც თავდაცვაა, სადაც ყოველწლიურად იზრდება მომსახურების პარამეტრები. ჩვენი ჯარი ნატო-ს სტანდარტებისკენ მიისწრაფვის და ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, ამიტომ საკითხავია, სფერო დღემდე რომ მოუწესრიგებელია, ეს მიზანმიმართული შემთხვევაა თუ სუსტი მენეჯმენტით არის გამოწვეული? ჯარის მიმართ მაღალია ჩვენი პარტნიორების ინტერესები, უამრავი ფინანსური, ადამიანური რესურსი დაიხარჯა და ასეთი ელემენტარული პრობლემების წინაშე არ უნდა ვიდგეთ. გუშინ სენაკი იყო, იმის წინ — სხვა ბრიგადა, ახლა ეს ნაწილები გამოვლინდა, ხვალ შეიძლება სხვას დაემუქროს, ამიტომ ვსვამთ კითხვას — როდემდე?“** — აცხადებს არჩილ კაიკაციშვილი, რომელიც აქვე განმარტავს, რომ მოწამვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ამ ჯარისკაცების ოჯახის წევრების, ახლობლებისა და ნათესავებისგან მიიღეს.

# „კანონპროექტის დონეზეც კი ამის გაჟღერებამ, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ნეგატიური გავლენა იქონიოს!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მუშაობს კანონპროექტზე, რომლითაც მთავრობა სავაჭრო სფეროში ანტიდემპინგურ (დემპინგი — საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე, ადგილობრივი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც კი, კონკურენტების განდევნის მიზნით, — ავტ.) ღონისძიებებს შემოიღებს. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, კანონპროექტის მიღების მიზანია, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, ადგილობრივი პროდუქციის დაცვა დემპინგური იმპორტისგან. მარტივად რომ ვთქვათ, კანონპროექტი ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ექსპორტს და ადგილობრივ ბაზარზე დემპინგურ იმპორტს შეამცირებს. თუმცა ქართული ოცნების პოლიტიკური ოპონენტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კანონის მიღებით, სახელმწიფო უხეშად ჩაერევა იმპორტირებული პროდუქციის ფასთწარმოქმნაში, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.**




საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ **ზურაბ ტყემალაძემ** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ კანონპროექტი „ანტიდემპინგური ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული პროდუქციის თვითღირებულებაზე ბევრად უფრო დაბალ ფასად შემოტანას ხელს შეუშლის. ამით სახელმწიფო კერძო ბიზნესში კი არ ერევა, არამედ იმპორტიორებს თამაშის წესებს უდგენს, რის საფუძველზეც საქართველოს ტერიტორიაზე პროდუქცია საერთაშორისო ბაზრებზე დადგენილ ფასად უნდა შემოიტანონ:

**„იმპორტირებული პროდუქცია საბაჟო ტერიტორიაზე დემპინგურ ფასებში აღარ უნდა შემოვიდეს, რადგან ასეთი ქმედება არაკეთილსინდისიერ კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას. ამ მიმართულებით, ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც პარლამენტში ძალიან მალე შემოვა. ადგილობრივ პროდუქციას ანტიდემპინგური ღონისძიებებით დავიცავთ, რათა იმპორტირებული პროდუქციის ფასები ხელოვნურად აღარ შემცირდეს. ზოგადად, იმპორტიორებმა საკუთარი პროდუქცია, მსოფლიო ბაზრებზე არსებული ფასებით უნდა შემოიტანონ და კანონში ნათლად გაიწერება, თუ როგორ უნდა დადგინდეს ანტიდემპინგური ფასები“.**

ამ კანონპროექტის პოზიტიური მხარე ის არის, რომ საქართველოს ბაზარი წალეკილია უხარისხო, უვარგისი, ჩინური, თურქული თუ ირანული პროდუქციით. ანტიდემპინგურ ღონისძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისთვის. დღეს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველია, საკუთარ თავს პროდუქციის არჩევანის უფლებას ვერ აძლევს. შესაბამისად, სუპერმარკეტებსა და ბაზრებზე მხოლოდ უხარისხო, დაბალფასიან იმპორტირებულ პროდუქტს იძენს, რაც ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა. ცხადია, პროდუქტის ფასს ბაზარი განსაზღვრავს, მაგრამ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მომხმარებელს არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ჩნდება კითხვა, კანონპროექტი, რომელიც ანტიდემპინგურ ღონისძიებებს განსაზღვრავს, სახელმწიფოს მიერ, კერძო ბიზნესში ჩარევის მცდელობა ხომ არ არის?

**„ამ კანონპროექტზე იმიტომ ვმუშაობთ, რომ კონკურენტების ჩაძირვის მიზნით, ადგილობრივ ბაზარზე ნებისმიერი სახის პროდუქტი ხელოვნურად დაბალ ფასად აღარ შემოვიდეს. რაც შეეხება სახელმწიფოს ჩარევას ბიზნესში, ეს გამორიცხულია, რადგან იმპორტირებული პროდუქცია საერთაშორისო ბაზრებზე უკვე დადგენილ ფასად შემოვა. ჩვენ ვატარებთ ღონისძიებას, რომ არც ერთმა იმპორტიორმა არ შეამციროს ფასი ხელოვნურად“,** — აცხადებს ზურაბ ტყემალაძე.

**განსხვავებული პოზიცია აქვს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრს ლევან ბეჟაშვილს, რომელმაც „ვერსიას“ განუცხადა, რომ სახელმწიფომ კერძო ბიზნესს რეგულაციები არ უნდა დაუწესოს:**

— კანონპროექტი, რომელზეც ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს, კომიტეტის წევრებისთვის ცნობილი არ არის, ამიტომ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლები. წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პრეზიდენტობის კანდიდატმა, დავით ბაქრაძემაც თქვა და ეს ჩვენი პოზიციაა, რომ კერძო საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობაში სახელმწიფო ნაკლები რეგულაციებით უნდა ჩაერიოს. კანონპროექტი ფასების რეგულაციას ეხება და ამიტომ მისაღები არ არის. მეტიც, კანონპროექტის დონეზეც კი ამის გაჟღერებამ, შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ნეგატიური გავლენა იქონიოს. გიმეორებთ, ჩვენი პოზიციაა, რაც შეიძლება ნაკლები რეგულირება დავუწესოთ კერძო ბიზნესს. რასაკვირველია, ჩვენი ხელისუფლების დროს, ბიზნესთან ურთიერთობაში პრობლემები იყო, რაც, მერწმუნეთ, ჩვენთვისაც პრობლემაა. ანალიზის საშუალება გვქონდა, რათა ჩვენი შეცდომები დაგვენახა და ამის საფუძველზე ახალი ეკონომიკური პოლიტიკა შევიმუშავეთ, რაც ნაკლებ რეგულირებებს, ასევე ბიზნესის დეკრიმინალიზაციას გულისხმობს. სწორედ ეს ღონისძიებები იქნება სტიმული ბიზნესისთვის და არა კანონპროექტი, რომელმაც პროდუქტის ფასი უნდა განსაზღვროს.

**— ბატონო ლევან, ისეთი კეთილშობილური იდეაც კი, როგორიცაა ადგილობრივი პროდუქციის დაცვა, ექსპორტის ხელშეწყობა და წახალისება იმდენად ფრთხილი თემაა, რომ შესაძლოა, ამ კანონპროექტს უკუეფექტი მოჰყვეს. პროდუქციის ფასს ხომ ბაზარი განსაზღვრავს, სახელმწიფო რატომ უნდა ჩაერიოს ფასთწარმოქმნის სისტემაში?**

— ადრე გვქონდა კანონი „ფასებისა და ფასთწარმოქმნის შესახებ“, რომლითაც სახელმწიფო თითოეული სახის პროდუქციის ფასის განსაზღვრასა და დადგენაში ერეოდა. კერძო ბიზნესს ნამდვილად სჭირდება სახელმწიფოს მხარდაჭერა, რათა საკუთარი პროდუქცია თავისუფლად აწარმოოს, მაგრამ ეს ყველაფერი სხვა ფორმით უნდა გაკეთდეს. თამბაქოსა და მინერალური წყლის აქციზის გადასახადის გაზრდით, ამ პროდუქტების ფასები გაიზარდა, რაც სწორი გადაწყვეტილება არ იყო. დღეს პრობლემა ის არის, რომ მეწარმეებს სამი-ოთხი თვით ადრე ახდევინებენ გადასახადებს, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლები კლებულობს. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ბიზნესის წნეხი შეასუსტა და ეს ნამდვილად მისასალმებელია, ამან ბიზნესის განვითარებასა და შემოსავლების ზრდას ხელი მაინც ვერ შეუწყო. სახელმწიფოს ბიზნესთან მიმართებაში, მკვეთრად ჩამოყალიბებული და მკაფიო მესიჯები უნდა ჰქონდეს. არასტაბილური განცხადებები, თუნდაც საგარეო ვექტორთან ან პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა-დარჩენასთან დაკავშირებით სერიოზულად აზარალებს ადგილობრივ ბიზნესმენებსაც და ინვესტორებსაც. მათ სტაბილური ხელისუფალი სჭირდებათ, რომელთანაც ურთიერთობას გაარკვევენ, თამაშის წესებს დაადგენენ და საკუთარ პროექტებს განახორციელებენ. კერძო სექტორი დეზორიენტირებულია, როგორც საგარეო ურთიერთობასთან, ასევე შიდაპოლიტიკურ სტაბილურობასა და ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზთან დაკავშირებით. მიღწეული პოზიტიური შედეგები ახალმა ხელისუფლებამ გადააფასა და ჩვენს მიღწევებს ისე აღიქვამენ, როგორც ტყუილსა და მანიპულირების საშუალებას, რამაც უცხოელი ინვესტორი დააფრთხო. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ინვესტიციებმა მოიკლო, არადა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უცხოური ინვესტიციები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი უნდა იყოს.

# ინტერესთა კონფლიქტი კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში

## პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამივე კანდიდატურა სატელეკომუნიკაციო კომპანიებში წილს ფლობს!

Transparency International Georgia

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურიდან კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთი ახალი წევრი უნდა აირჩიოს. კომისიას ხშირად იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მისი წევრები აშკარად ინტერესთა კონფლიქტში იყვნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, მარეგულირებელი კომისიის წევრობის კანდიდატებზე მცირე კვლევა ჩაატარა და სკანდალური ინფორმაცია მოიპოვა. აღმოჩნდა, რომ სამივე კანდიდატურა — თეიმურაზ ღოღობერიძე, დავით თუთბერიძე და გიორგი ჭოლაძე ასევე არღვევენ კანონს საქართველოს მაუწყებლობის შესახებ.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, საქართველოში, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წევრები ყველაზე მაღალანაზღაურებადი საჯარო მოხელეები არიან. 2012 წელს, პრემიების ჩათვლით, თითოეულის ანაზღაურება 210 000 ლარიდან, 295 000 ლარამდე იყო. ამჟამად, პარლამენტის საგამოძიებო კომისია კომისიის თავმჯდომარის, კარლო კვიტაიშვილის ინტერესთა კონფლიქტს იკვლევს, რაც, შესაძლებელია, იმპიჩმენტით დასრულდეს. კანონი კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტს ასე განმარტავს: **„კომისიის წევრი, იმავდროულად, არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი და არ უნდა ფლობდეს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს კომპანიებში, რომლებიც რეგულაციას ექვემდებარება. ასეთ კომპანიებს მაუწყებლები, სატელეფონო, ინტერნეტისა და მობილური ოპერატორები, ასევე საკაბელო და სატელიტ-ოპერატორები განეკუთვნება. იგი არ შეიძლება იყოს აღნიშნული ტიპის კომპანიების თანამშრომელი ან ასრულებდეს მათთვის ნებისმიერ ანაზღაურებად საქმიანობას; კომისიის წევრს არ შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომელიც განეკუთვნება რეგულაციის სფეროს“.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აცხადებს, რომ სამივე კანდიდატურის საქმიანობა კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება. **თეიმურაზ ღოღობერიძე** შპს „ახალი ქსელების“ 0.25%-ს ფლობს. 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანიის უმსხვილესი აქციონერი ბელიზში რეგისტრირებული ფიქტიური კომპანია Alpha System Transit Corp-ია (46.2%), რომელსაც პანამური ფიქტიური კომპანია Cascado AG აკონტროლებს. მისი სახელი კი სხვადასხვა სკანდალს უკავშირდება. კვლევის მიხედვით, 2007 წელს, Alpha System-მა ფრიდონ ინჯიასგან, რომელიც თავად იყო Alpha System-ის წარმომადგენელი, „ახალი ქსელების“ აქციები შეისყიდა. 2007 წლამდე თეიმურაზ ღოღობერიძე წილს „ჯეოსელშიც“ ფლობდა, მეტიც 90-იან წლებში კომპანიის დირექტორი და საბჭოს წევრი იყო. მისი მეუღლე ლილი სუხიტაშვილი ასევე ფლობს წილებს რამდენიმე სატელეკომუნიკაციო კომპანიაში, რომლებიც ფრიდონ ინჯიასა და მისი გარემოცვის საკუთრებაა. ღოღობერიძე, ასლან აბაშიძის „აღორძინების“ სიით, 1999-2004 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

კიდევ ერთი კანდიდატი, **დავით თუთბერიძე** შპს „კავკასიის ციფრულ ქსელში“ 5%-იან წილს ფლობს და მისი დირექტორია. იგი კომპანიებს სატელეფონო და საკომუნიკაციო მომსახურებით უზრუნველყოფს. აგვისტოში კომპანიამ გაკოტრების შესახებ საქმის წამოწყებაზე შეიტანა განაცხადი.

მესამე კანდიდატი, **გიორგი ჭოლაძე** შპს „საქართველოს მედია ჰოლდინგის“ დირექტორია. ეს კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალის“ საკუთრებაა, რომელიც დავით და გელა ბეჟუაშვილების მამის — რობერტ ბეჟუაშვილის კონტროლის ქვეშ არსებობს და მარშალის კუნძულებზეა რეგისტრირებული. მისი საშუალებით ბეჟუაშვილების ოჯახი წილს ფლობდა „რუსთავი 2“-ში, „მზესა“ და „პირველ სტერეოში“, გამოსცემდა ინგლისურ „ბიზნეს ვიკ“-ს. გიორგი ჭოლაძე და მისი ძმა, ლევან ჭოლაძე წილებს შპს Air Black Sea-ში ფლობენ. ლევან ჭოლაძე „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი და გენდირექტორია. სააკაშვილის ხელისუფლებაში ლევან ჭოლაძეს რამდენიმე თანამდებობა ეკავა: იყო უშიშროების საბჭოს მდივანი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 2007-2008 წლებში, კონტროლის პალატის თავმჯდომარე. 2011 წლამდე კი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

# სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები რთველში მიიწვიეს

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის 60-მა სტუდენტმა კახეთში, რთვლში მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებს მეგზურობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, შალვა ფიფიამ გაუწია. აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტები საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში მცხოვრებ გოჩა აბესაძეს, ყურძნის კრეფაში დაეხმარნენ. რაც შეეხება, უშუალოდ, ღვინის წარმოებას, სტუდენტებს „ღვინის ეროვნული სააგენტოს" ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა, ეს პროცესი ახმეტაში მდებარე ღვინის კომპანია „ბადაგონის" მაგალითზე უჩვენა.**



ამ ეტაპზე, რთველი საგარეჯოსა და ახმეტაში მიმდინარეობს

„რთველი 2013"-ის დასრულებამდე, რამდენიმე კვირა დარჩა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, შალვა ფიფიას განცხადებით, სამინისტრო ყველაფერს აკეთებს, რომ 2013 წლის შემოდგომა შემოსავლიანი იყოს როგორც კახელი გლეხების, ასევე — მეწარმეებისთვისაც. შალვა ფიფიამ ყურადღება იმ საკითხებზე გაამახვილა, რაც „რთველი 2013"-ს გასული წლებისგან განასხვავებს. მან მეწარმის დასახმარებლად ამოქმედებულ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტსა" და სუბსიდიის შეცვლილ მექანიზმზე ისაუბრა:

**„კახეთის ყველა რაიონში რთველი აქტიურად მიმდინარეობს. წელს პრინციპულად შეიცვალა მიდგომები და ამ მხრივ, რამდენიმე განსხვავებაა: პირველი — შევქმენით სპეციალური საკრედიტო პროდუქტი ღვინის კომპანიებისთვის, რის გამოც, ყურძნის შესაძენად გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტი ხელმისაწვდომი გახდა; ასევე შეიცვალა სუბსიდირების სქემა, რადგან წელს სუბსიდია პირდაპირი**



**წესით გაიცემა და არა ვაუჩერებით. სუბსიდია რქაწითელზე, საფერავსა და მწვანე კახურზე გამოვყავით".**

სტუდენტები რთვლის პროცესით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ზოგიერთი რთველში პირველად მონაწილეობდა.

აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ელისაბედ ცისკარიშვილი:

**„რთველში ჩვენი ლექტორის, თეო ურუშაძის ხელმძღვანელობით წაგვიყვანეს. საინტერესო პროცესია, პირველად ვარ რთველში და კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა. ეს ძალიან დამეხმარება მომავალ საქმიანობაში, რადგან მეღვინემ ყურძენი და რთველი კარგად უნდა იცოდეს. სასიამოვნოა, რომ ამ პროცესის ადგილზე ნახვის საშუალება მოგვეცა".**

აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი თორნიკე ტაბუნაშვილი:

**„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია რთველში მონაწილეობა, რადგან უკეთ გავეცნობით ჩვენს სფეროს, რაც სამომავლოდ გამოგვადგება. წარმოშობით კახელი ვარ, სიღნაღის რაიონიდან და ეს სფერო უცხო არ არის ჩემთვის. სიღნაღში, ძირითადად, რქაწითელი და საფერავი მოდის და ჩვენს რაიონში რთველი უკვე დასრულდა. კარგად ვიცი, რომ ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა, რადგან ღვინის ქარხნები პროდუქციას იბარებდნენ. სხვათა შორის, ტრანსპორტირების ფულსაც კომპანიები იხდიდნენ და 1 კგ. ყურძენში მევენახეს 1 ლარს უხდიდნენ".**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი თეო ურუშაძე, რომელიც სტუდენტთა რთველში წასვლის პროცესის ორგანიზატორი იყო, აცხადებს, რომ მსგავსი პრაქტიკა ახალგაზრდებს საკუთარ საქმიანობაში დაეხმარება:

**„სტუდენტების რთველში დასწრების ინიციატივა, უშუალოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან წამოვიდა. ესენი მეორე-მესამე კურსის, აგრონომიისა და მევენახეობის ფაკულტეტების სტუდენტები არიან. მსგავსი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა, წელს პირველად შემოგვთავაზა სოფლის მერნეობის სამინისტრომ სტუდენტების რთველში წაყვანა, რამაც ძალიან გაგვახარა".**

სოფელ ბადიაურის მცხოვრები გოჩა აბესაძე, რომელსაც სტდენტები ყურძნის კრეფაში დაეხმარნენ, აცხადებს, რომ წელს განსაკუთრებული მოსავალია როგორც ხარისხით, ასევე რაოდენობით:

**„წელს უკვე ფასი დაედო ყურძენს და ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ყურძნის ფასი თუ დაეცა, ჩათვალეთ, რომ კახეთში ვენახი აღარ იქნება. ჩემთვის, ყურძნის ჩაბარება ქარხანაზეა დამოკიდებული, თუ კომპანია თანახმაა, დღესვე ჩავაბარებ პროდუქტს. საგარეჯოში რთველი გვიან იწყება და ქარხნებიც ნელ-ნელა იხსნება. წლევანდელი მოსავალი ხარისხიანია, ყურძნის შაქრიანობა მაღალია. შესაბამისად, ფასსაც კარგად გვიხდიან და ჩვენც კმაყოფილები ვართ, რადგან მუშაობად ღირდა. რაც შეეხება სტუდენტების აქ ყოფნას, მათ ჩამოსვლას მივესალმები. მართალია, მცირე ხნით, მაგრამ ისინი მაინც შრომობენ. მიმაჩნია, რომ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტებმა შრომაც უნდა იცოდნენ და სწავლაც".**

ღვინის კომპანია „ბადაგონი", ყურძნის გადამუშავებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს. სწორედ ეს კომპანია დაათვალიერებინა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა სტუდენტებს და ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესსაც დაასწრო. ლევან დავითაშვილის განცხადებით, სტუდენტების წახალისების თვალსაზრისით, „ღვინის ეროვნულ სააგენტოს" საინტერესო ინიციატივები აქვს:

**„აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი მევენახეობის ფაკულტეტზე სწავლობს. უნივერსიტეტმა მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც ცალკე სპეციალობა, უკვე აღადგინა, რასაც მივესალმებით და მაქსიმალურად ვეცდებით, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს. ფაქტია, რომ ადეკვატური კადრების გარეშე, ინდუსტრიის წარმატება წარმოუდგენელია. სააგენტო აუცილებლად დაეხმარება მოწინავე სტუდენტებს, რათა ვენახებსა და ღვინის საწარმოებში პრაქტიკა გაიარონ. მეტიც, გაცვლითი პროგრამების საშუალებით, ყველაზე წარმატებულ სტუდენტებს ხელს შევუწყობთ, რომ საზღვარგარეთ ისწავლონ".**

რაც შეეხება უშუალოდ რთველს, ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ ეს პროცესი დასასრულისკენ მიდის. მისი თქმით, 80 კომპანია, რომელიც რთველში ოფიციალურადაა ჩართული და რეგისტრაცია გავლილი აქვს, ყურძენს უპრობლემოდ იბარებს. ლევან დავითაშვილის განცხადებით, პიკი 12 სექტემბერს დაფიქსირდა, რადგან დღე-ღამის განმავლობაში, 4 600 ტონა ყურძენი გადამუშავდა. ამ ეტაპზე, რთველი ყველაზე აქტიურად საგარეჯოსა და ახმეტის რაიონებში მიმდინარეობს.

ახმეტის რაიონში მდებარე ღვინის გადამამუშავებელი საწარმოს წარმომადგენელი, რამაზ აივაზაშვილი აცხადებს, რომ ყურძენი არა მარტო ახმეტის რაიონიდან, არამედ წინანდალის, ვაზისუბნის, ქინძმარაულის, მუკუზანისა და მანავის ზონებიდანაც ჩაიბარეს:

**„ახმეტის რაიონში საუკეთესო ყურძენია, მართალია, პროდუქციას გლეხებისგან ვიბარებთ, მაგრამ საკუთარი ვენახებიც გვაქვს. ახლა მხოლოდ რქაწითელი და კახური მწვანეა დარჩენილი, რასაც ახლო რაიონებიდან ვიბარებთ. სახელმწიფო პროგრამების საშუალებით, ყურძნის გადამუშავება გავზარდეთ. შარშან თუ 1 800 ტონა მივიღეთ, წელს 4 500 ტონა გადავამუშავეთ. „საფერავის" ჩაბარება 1 ლარიდან დავიწყეთ, მაგრამ ახლა 1 კგ საფერავს 1.80 ლარად ვიბარებთ, 1 კგ რქაწითელის ფასი კი 1 ლარია. დღეს, საუკეთესო შედეგი საგარეჯოს რაიონს აქვს, რადგან ყველაზე ძვირად მათი ყურძენი ჩავიბარეთ, 1 კილოგრამში 1.80 ლარი გადავიხადეთ".**

რთველთან დაკავშირებით გამოწვეულ რიგებსა და პატარ-პატარა შეფერხებებს, სოფლის მეურნეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი გამოეხმაურა. მათი ინფორმაციით, რთვლის მიზანია, თანაბარ პირობებში ჩადგეს როგორც გლეხი, ასევე მეწარმე. ღვინის ქარხნის მეპატრონეს, რომელსაც უნდა, ხარისხიანი ყურძენი ჩაიბაროს, სახელმწიფო გვერდით დაუდგება:

**„არ გვინდა, შარშანდელი მანკიერი გამოცდილება გავიზიაროთ და გლეხმა დაუმწიფებელი ყურძენი მოიტანოს. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ რთვლის ზუსტ ვადებს არ აცხადებდნენ. ადგილობრივი რწმუნებულები, ჩვენი რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები, მევენახეებს ამ ვადების შესახებ აფრთხილებენ. მონიტორინგის ჯგუფები კი 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ და ამოწმებენ, ყურძენი კონდიციამდეა მისული, თუ არა. ყურძნის შაქრიანობა 21-23%-ის ფარგლებში უნდა იყოს, რომ ქარხნებმა ჩაიბარონ. ვრცელდება დეზინფორმაცია, რომ სეტყვაა მოსალოდნელი, რათა მოსახლეობამ მოსავალი უცებ დაკრიფოს. ამის შემდეგ საწარმოებს აწყდებიან და რიგებსაც ეს განაპირობებს. წელს ყურძნის უხვი მოსავალი დაფიქსირდა და შესაბამისად, რიგებს ესეც იწვევს. ჩვენ გლეხებს რეკომენდაციებს ვაძლევთ, რომ როდესაც რიგებია ან ყურძენი დაუმწიფებელია, მოსავალი არ დაკრიფონ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ისინი ჩვენს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ",** — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

*მაია მიშელაძე*

ლაშა ცაიშვილი

# რატომ არავინ იცავს საქართველოში მართლმადიდებელთა უფლებებს

**2013 წლის 13 აპრილს არასამთავრობო ორგანიზაციების: „უფლებადამცველთა გაერთიანების“, „სახალხო დარბაზისა“ და „ერთსულოვნების“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს ბრიფინგი, სადაც ჩემს მიერ შესწავლილი „მართლმადიდებელთა უფლებადარღვევის ფაქტების“ კვლევის პრეზენტაცია გაიმართა, თუმცა დღემდე მძლავრობენ და გავლენას ახდენენ რა ფსევდო-ლიბერალები მასმედიის საშუალებებზე, აღნიშნულ ბრიფინგზე ორი ტელეკომპანიის (ტელეკომპანია „კავკასია“ და ტელეკომპანია „იმედი“) გარდა, არავინ მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ტელეიმედმა სიუჟეტი ჩაწერა, არც ერთ საინფორმაციო გამოშვებაში აღნიშნული ბრიფინგი არ გაუშუქებია.**



## 2013 წელს მომხდარი ფაქტები და ანალიზი

**2013 წლის 17 მაისს** ჰომოფობიის წინააღმდეგ დაწესებული დღის აღსანიშნავად სექსუალურ უმცირესობათა უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა განიზრახეს, მოეწყოთ აქცია-ფლეშმობი, რამაც საზოგადოებაში სერიოზული დაძაბულობა წარმოშვა და დიდი პროტესტი გამოითქვა, რადგან აღნიშნული აქცია ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად იქნა მიჩნეული. უკიდურესად დაძაბული ვითარების გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესსამსახურის მიერ გავრცელდა პატრიარქის წერილობითი თხოვნა, რომ არ ჩატარებულიყო დაგეგმილი აქცია, რათა მოწინააღმდეგე მხარეებს შორის არ მომხდარიყო სერიოზული დაპირისპირება. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო და ყოველთვის იქნება არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდა (და არა თავად „ელგებეტე“ ადამიანები). სამწუხაროდ, ამ დღეს აქციის ორგანიზატორებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს და მოწინააღმდეგე მხარეთა შორის მოხდა არა მხოლოდ სიტყვიერი, არამედ ფიზიკური დაპირისპირებაც, ხალხმა პოლიციის კორდონის გარღვევაც



შეძლო, თუმცა ამ შეხლა-შემოხლის დროს „ელგებეტე“ ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ დაშავებულან, რადგან პოლიციამ ეფექტურად მოახდინა მათი დაცვა და ესკალაციის ადგილიდან მათი ევაკუაცია. ჩნდება ლოგიკური კითხვა: როგორ აღმოჩნდნენ „მოწინააღმდეგე გუნდში“ ათეულობით დაშავებული. რა თქმა უნდა, ისინი საკუთარ თავს არ გალახავდნენ. როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის ქორეპისკოპოსმა იაკობმა ბრძანა, მათ სანდო წყაროდან აქვთ ინფორმაცია, რომ გარკვეული ძალები აღნიშნულ აქციაზე გეგმავდნენ დიდ პროვოკაციებს; მათ შორის, დაგეგმილი იყო სისხლისღვრაც. მეუფე იაკობის თქმით, აქციაზე გამოჩნდნენ ნიღბიანი ადამიანებიც, რომლებიც ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, ეს ფაქტი ძალზედ ბევრმა თვითმხილველმა დააფიქსირა; და რომ არა სასულიერო პირთა დიდი აქტივობა, რომლებმაც წარმოუდგენელი დახმარება გაუწიეს პოლიციას დაძაბულობის განმუხტვაში (მათი უშუალო მონაწილეობით განეიტრალდა რამოდენიმე ცხელი კერა), გარდაუვალი იყო არა მხოლოდ ფიზიკური შეხლა-შემოხლა, არამედ დიდი ალბათობით — მსხვერპლიც. ფსევდოლიბერალთა გავლენის ქვეშ მყოფმა ტელეკომპანიათა უმრავლესობამ სასულიერო პირთა ამგვარ პოზიტიურ როლზე დუმილი არჩია და მხოლოდ ის კადრები გაუშვა, სადაც ერთი სასულიერო პირი პატარა ხის სკამით გარბის, მეორე — იგინება, თუმცა პირველმა მოძღვარმა განაცხადა, რომ იგი ახალი ნაოპერაციები იყო და ტაბურეტიც ამიტომ სჭირდებოდა; არც მეორე მღვდლის გინება ნიშნავს ვინმესთან ფიზიკურ დაპირისპირებას, მით უმეტეს, მანაც განაცხადა, გინება კადრებზე შემდეგ არის დადებული, ეს ხმა ჩემი არ არისო. უდავოა, რომ სასულიერო პირს მსგავს შემთხვევებში დიდი თავშეკავება მართებს, მაგრამ სამწუხაროა, რომ მედია ტენდენციურად მხოლოდ ამ ორი სასულიერო პირის მოქმედების გაშუქებით შემოიფარგლა და არაფერი თქვა დანარჩენთა დამსახურებაზე.

**ასევე სამწუხაროა, რომ არ გამოიძიეს, ვინ გეგმავდა პროვოკაციებს, სისხლისღვრას, ვინ იყვნენ ის ნიღბიანი და ხელკეტიანი ადამიანები? ან რატომ არ შეეხო გამოძიება და არ მოეთხოვა პასუხი „ელგებეტე“ ორგანიზაციებს იმის გამო, რომ საზოგადოებაში კონფლიქტი გამოიწვიეს და ხელოვნურად შექმნეს დიდი სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფონი? ხომ არ აწყობდათ მსგავსი რამ გრანტების მოპოვების მიზნით?**

საზოგადოებაში აგრესია დაბადა 2012-13 წლებში გამართულმა აქციებმა, რადგან ისინი პირდაპირ შეიცავდა პროპაგანდას და იმართებოდა საჯარო სკოლების სიახლოვეს. რეალურად კი, გამოდის, რომ ამ „ელგებეტეუფლებადამცველმა“ ორგანიზაციებმა ყველაზე მეტად დაარღვიეს თავიანთ დაცვის ქვეშ მყოფთა უფლებები და ვინ უწყის, რა პირადი ინტერესებით გაწირეს და მსხვერპლად გამოიყენეს სექსუალური უმცირესობები, რაზეც მოწმობს მომდევნო დღეებში საზოგადოების მხრიდან მათი დევნა და ფიზიკური შეურაცხყოფა (თუ ეს ინფორმაციაც შეეფერება სინამდვილეს და არ წარმოადგენს „ელგებეტე“ აქციის ინსცენირების გაგრძელებას).

**ამდენად, დაუშვებელია, ხელისუფლებამ გაასამართლოს მხოლოდ ზემოხსენებული სასულიერო პირები და პასუხი არ მოსთხოვოს გაურკვეველი ინტერესებით მოქმედ „ელგებეტე“ აქციის ორგანიზატორებს. მსგავსი ტენდენციურობა საზოგადოებაში გააღრმავებს დაპირისპირებასა და აგრესიას. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს უმრავლესობის ინტერესებზე და გამონახოს ოქროს შუალედი ისე, რომ არ შეილახოს არც უმცირესობისა და არც უმრავლესობის უფლებები, რადგან ერთი მხარის ხარჯზე დაუშვებელია მეორის დაჩაგვრა. სწორედ ამგვარი ბალანსი წარმოადგენს ჭეშმარიტ დემოკრატიას. ხელისუფლებამ რომელიმე მხარე არ უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, რომ მისთვის თავდაცვის საშუალება და ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ფიზიკური დაპირისპირება გახდეს.**

ერთი რამ ცხადია, საქართველოში არიან ძალები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მსოფლიო უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და საზოგადოების წინაშე ტოტალურად გაუტყდეს სახელი. როგორც ჩანს, მსგავსი რამ ფსევდოლიბერალებსა და ნაციონალებს კარგად უმყარებთ პოლიტიკურ და ფინანსურ მდგომარეობას. ამის თქმის საფუძველს კი ისიც გვაძლევს, რომ ზემოხსენებულ აქციაზე ნიღბიანი და ხელკეტიანი ადამიანების გამოჩენა სწორედ ნაციონალების აპრობირებული ხელწერაა. მსგავსი პროვოკაციული აქცია კი ახალი ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟად რომ მივიჩნიოთ, არც ეს იქნებოდა საღ აზრს მოკლებული.

**2013 წლის 24-31 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში,** რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება მოხდა მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის. სცენარი სოფელ ნიგვზიანსა და წინწყაროს მსგავსად განვითარდა. გაურკვეველი პირები მივიდნენ მუსლიმებთან და მათზე ზემოქმედებდნენ, რომ მოეთხოვათ მეჩეთის აშენება. შემდეგ, როგორც ჩანს, მართლმადიდებლებთანაც ვიღაცამ ჩათესა დაპირისპირების თესლი და კონფლიქტიც შედგა, თუმცა შემდგომ, გონს მოსული ადგილობრივი მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ რეალურად, მათ შორის დაპირისპირება არ არსებობს და კონფლიქტი გაურკვეველ პირთა მიერ ხელოვნურად იყო დაგეგმილი. მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერით გამოსვლისას მუსლიმთა ლიდერმაც ანალოგიურად შეაფასა სამთაწყაროში განვითარებული მოვლენები. ორივე რელიგიის წარმომადგენლებს შეხვდა საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი, სიმშვიდისკენ მოუწოდა, დალოცა და აღნიშნა, რომ ყველანაირი აღმსარებლობის ადამიანს უნდა შეეძლოს, თავისუფლად ლოცვა და, სამომავლოდ რაიმე პრობლემის შექმნის შემთხვევაში, თავად აღუთქვა თანადგომა.

**2013 წლის 24 ივლისს დავით გარეჯის ლავრაში, ბერთუბანში, სადაც** 2012 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ საზღვარი თვითნებურად გადმოწია, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საქართველოს მხრიდან ოთხი მომლოცველი დააკავა და ერ-



თი დღე-ღამე დაპატიმრებული ჰყავდა. მოტივი — საზღვრის დარღვევა. ამ ტერიტორიაზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა არშეშვების გამო, დროთა განმავლობაში ნადგურდება უძველესი უნიკალური ფრესკები.

**რელიგიური ნიშნით მორიგი დაპირისპირება 2013 წლის 10 აგვისტოს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ თივში,** აღმსარებლობით მუსლიმ ეთნიკურ დაღესტნელებსა და აჭარიდან ჩასახლებულ ქრისტიან ეკომიგრანტებს შორის მოხდა. აჭარელების თქმით, დაღესტნელები მათ ავიწროებენ და არ აძლევენ ჯვრის აღმართვის, სოფლის სახელწოდების მიმანიშნებელი ტრაფარეტის დადგმისა და ღორების მოშენების უფლებას, რის გამოც ეკომიგრანტები უყურადღებობაში ადანაშაულებენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და სამართალდამცავებს. დაღესტნელები დაპირისპირებას უარყოფენ, მაგრამ, გარკვეულ საკითხებში, უთანხმოების არსებობას ადასტურებენ. მათ მეჩეთისთვის ადგილიც აქვთ გამოყოფილი, რომლის აშენებასაც უახლოეს მომავალში გეგმავენ. სამწუხაროა, რომ როდესაც მუსლიმებს შეექმნათ პრობლემები სოფ. ნიგვზიანში, წინწყაროსა და სამთაწყაროში, მხოლოდ მაშინ აღშფოთდა სახალხო დამცველის აპარატიცა და უფლებადამცველებიც; ტელეკომპანიებმა ამ თემებს გადაცემებიც კი მიუძღვნეს, ხოლო სოფელ თივში მომხდარ რელიგიურ დაპირისპირებაზე არავინ დაინტერესებულა, შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტის ტოტალური იგნორირებაც მოხდა... მიზეზი კი ის გახლავთ, რომ უფლებების შელახვა ეხებოდა ქრისტიანებს და „უფლებადამცველები“ გრანტებსაც ვერ მიიღებდნენ.

**2013 წლის 26 აგვისტოს ახალციხეში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაში,** ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაშლილ იქნა ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მიერ მეჩეთთან ჩუმად, ერთ ღამეში უკანონოდ აგებული მინარეთი. ამ ფაქტს მოჰყვა საპროტესტო აქციები, როგორც მუსლიმ, ასევე ქრისტიანთა მხრიდან. პირველნი გმობდნენ მინარეთის დაშლას; მეორენი კი — თანასოფლელთაგან მინარეთის დაუკითხავად აგებას. მუსლიმთა აქცია გამოირჩეოდა მომეტებული აგრესიით, ზოგიერთმა პოლიციასაც გაუწია ფიზიკური წინააღმდეგობა, რაც კანონის დარღვევაა და ამის გამო რამოდენიმე მოქალაქე დაისაჯა კიდეც.

*დასასრული მე-11 გვერდზე*




# Forbes: „საქართველოს პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკას ფეხებში ესროლა“



**Forbes-ში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი კატია სოლდაკი აღნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტი ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, მგზნებარე, ანტირუსული სიტყვით წარსდგა.**

**„მან განაცხადა, რომ რუსეთის ინტერესებში არ შედის ძლიერი, მშვიდობიანი მეზობლების ყოლა. მათი დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად, მცირდება პუტინის ევრაზიულ კავშირში მათი გაწევრიანების შანსი“,** — ციტირებს კატია სოლდაკი პრეზიდენტის გამოსვლიდან ამონარიდს და აღნიშნავს, რომ გაერო-ს ასამბლეაზე ეს საქართველოს პრეზიდენტის ბოლო გამოსვლა იყო, რამდენადაც ოქტომბერში მისი ვადა იწურება. კატია სოლდაკი წერს, რომ პრეზიდენტის ეს გამოსვლა ასევე მიმართული იყო საქართველოს ამჟამინდელი მთავრობისკენ, რომელსაც ქვეყნის უმდიდრესი ადამიანი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობს.

**„ივანიშვილი, რომელმაც ქონება ძირითადად რუსეთში, საბანკო საქმიანობითა და ლითონების ვაჭრობით დააგროვა, საქართველოს ძლევამოსილი სლავი მეზობლის მიმართ დიპლომატიური მიდგომითაა ცნობილი“,** — წერს ჟურნალისტი და განმარტავს, სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა იმ დროს იწურება, როცა საქართველო პოლიტიკური გაურკვევლობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის ფაზაში შედის. მისივე თქმით, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიღწეული პროგრესის შემდეგ, ამ მხრივ მკვეთრი უკუსვლა დაიწყო. 2003 წელს, მშვიდობიანად დასრულებულ „ვარდების რევოლუციას“ სააკაშვილის გაპრეზიდენტება მოჰყვა, რის შემდეგაც საქართველოში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, მოხდა ქალაქების მოდერნიზაცია, საქართველო საცხოვრებლად უსაფრთხო და კომფორტული ადგილი გახდა. მისივე თქმით, ქვეყანა, რომელიც მდიდარია სანახაობრივი ადგილებით – კავკასიის მთებით, შავი ზღვით, ღვინის ტურებით, უძველესი ეკლესიებით – მსოფლიოს ყველა კუთხიდან იზიდავს ტურისტებს. კატია სოლდაკი ხაზს უსვამს, რომ სააკაშვილის მთავრობა ცნობილი გახდა კორუფციისა და ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებით.

**„თუმცა, დიდი ეკონომიკური იმედები, რომელიც პრეზიდენტს ჰქონდა, არ ხორციელდება. წლეულს საქართველოს ეკონომიკა შენელდა, რამდენადაც ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ უცხოურმა კაპიტალმა იკლო. ფრუსტრაცია და კლება ყველა ინდუსტრიას შეეხო, დაწყებული მშენებლობიდან, დამთავრებული საბანკო სექტორით. 2013 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროგნოზი დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარით შემცირდა, მთლიანი შიდაპროდუქტის ზრდა კი 2013 წლის მეორე კვარტალში 1,4%-მდე შეჩერდა, როცა შარშან ეს მაჩვენებელი 8,2% იყო“,** — წერს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ, შესაძლოა, ვინმემ ეკონომიკური კლება პოლიტიკურ ცვლილებებს დააბრალოს, თუმცა მომხდარი რამდენიმე მიზეზს უკავშირდება.

კატია სოლდაკი ციტირებს კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარის კავკასიის საკითხებში, ლინკოლნ მიტჩელის კომენტარს, რომელიც აცხადებს, რომ წინა ხელისუფლებამ ეკონომიკის შენებას ძირითადად ფულის სესხებითა და უცხოური დახმარებების ხარჯზე მიაღწია, რეალურად არ ყოფილა ეკონომიკის მდგრადი ზრდა. **„ხელისუფლებაში ყველა წუხს ეკონომიკაზე, მაგრამ რეალურად არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ“,** — ჟურნალისტი ლინკოლნ მიტჩელის სიტყვებს.

როგორც სტატიის ავტორი წერს, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის მთავრობას ნაწილობრივ მაინც აკისრია პასუხისმგებლობა იმაზე, რაც დღეს ხდება და ამტკიცებს, რომ ახალ მთავრობას არ შეუთავაზებია ეკონომიკური განვითარების მკაფიო სტრატეგია.

**„ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველომ რუსეთთან ვაჭრობის აღდგენის მიზნით, გარკვეული დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინა კრემლთან. საქართველოში შექმნილ დღევანდელ გაურკვევლობას ვერც ივანიშვილის განცხადება წაეხმარა, როცა მან განაცხადა, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ თანამდებობას დატოვებს“,** — წერს კატია სოლდაკი.

**პოლიტოლოგი გია ნოდია კი მასთან საუბარში აცხადებს, რომ ივანიშვილი მაშინ ტოვებს თანამდებობას, როცა არაფერი დასრულებულა. ივანიშვილს ბიზნესმენის მენტალიტეტი აქვს, რომელმაც კომპანია, სახელად საქართველო შეიძინა.**

**„ივანიშვილის წასვლა იმაზე მეტ დარტყმას მიაყენებს ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკას, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნები, რადგან საქართველოს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტზე დიდ როლს თამაშობს. აშშ-სა და ევროპისთვის საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმატებული დემოკრატიული რეფორმების მაგალითი იყო, თუმცა ბევრი ქართველისთვის სააკაშვილის მეთოდები არადემოკრატიული იყო, რადგან მისი ავტორიტარული ხელისუფლების დროს ათასობით ადამიანს აპატიმრებდნენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და გამჭვირვალობის შექმნის მიზნის მცდელობით. თუმცა, კორუფცია მაღალ ეშელონებში ყვაოდა“,** — წერს კატია სოლდაკი.

სტატიის ავტორი ასევე ციტირებს შვედი ეკონომისტის ანდერს ასლუნდის სიტყვებს, რომელმაც განაცხადა, რომ საქართველოს წინა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებისთვის და საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის, რასაც მასობრივი გაუმჯობესება მოჰყვა.

**„დღესდღეობით, ივანიშვილის გუნდი ეკონომიკაზე მეტად, აქტუალურად სხვა საკითხებს მიიჩნევს – ისინი სახელმწიფო ინსტიტუტების დეპოლიტიზირებასა და წინა ხელისუფლების გაკრიტიკებით არიან დაკავებული, თუმცა, სააკაშვილისა და ივანიშვილის მომხრეებიც თანხმდებიან, რომ წინა ხელისუფლებამ უფლებამოსილებას გადააჭარბა“,** — აღნიშნავს კატია სოლდაკი და წერს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ აპირებს რუსეთის ბოროტი განზრახვების მხარდაჭერას. იგი დაინტერესებულია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებით, რაც კრემლის შეშფოთებას იწვევს, რომელიც აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ზეწოლას. ლინკოლნ მიტჩელის აზრით კი, ივანიშვილის წასვლამ, შესაძლოა, მომავალი ეკონომიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია და საქართველოს პრობლემების გაღრმავება გამოიწვიოს. თუმცა, მისივე თქმით, მაშინ, როცა მისი გადადგომა სარგებელს არ მოუტანს ქართულ ფინანსებს, შესაძლოა, ეს ქართულ დემოკრატიას წაადგეს.

**„ორი ვარიანტიდან ერთი მოხდება – ან ყველაფერი ჩამოიშლება, ან ყველაფერი ერთი დიდი, ქარიზმატული ლიდერის პოლიტიკის მიღმა გადაინაცვლებს. ივანიშვილის გარეშე კოალიცია, რომელიც ექვსი განსხვავებული პოლიტიკური პარტიისგან შედგება, შესაძლოა, დაიშალოს. ეს კი პარლამენტში რეალურ დებატებამდე და მეტი აზრის გამოთქმამდე მიგვიყვანს, რაც დემოკრატიისკენ წინ გადადგმული რეალური ნაბიჯი იქნება“, — აცხადებს ლინკოლნ მიტჩელი.**

## თავისუფალი ტრიბუნა

# რატომ არავინ იცავს საქართველოში მართლმადიდებელთა უფლებებს

*მე-10 გვერდიდან*

ხელისუფლებამ მინარეთის დაშლის მიზეზად, უკანონო მშენებლობის გარდა, განბაჟებისას აღმოჩენილი დარღვევები დაასახელა. ომბუდსმენი აცხადებდა, რომ ხელისუფლების მოქმედება მინარეთთან დაკავშირებით შეიცავდა სამართლებრივ საფუძვლებს, მაგრამ ეს საქმე მშვიდობიანი ფორმით უნდა გადაწყვეტილიყო, რაზეც შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ბატონ ნანუაშვილს. ბოლო ათი წლის მანძილზე ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც სახალხო დამცველი ვითარებას ობიექტურად აფასებს და ყველაფერში მხოლოდ მართლმადიდებლები არ გამოჰყავს დამნაშავედ.

სააკაშვილის ხელისუფლების დროს აშენდა ათეულობით უკანონო არამართლმადიდებლური რელიგიური ნაგებობა, რაზეც თვალს ხუჭავდა მაშინდელი ხელისუფლება. მოსახლეობა კი, რომელიც ამ უკანონობას აპროტესტებდა, უფლებადამცველთა მხრიდან არატოლერანტულად ცხადდებოდა. 2007 წელს აჭარაში, ბათუმში, ფერიის მთაზე, დაინგრა ნახევრადაშენებული ტაძარი მიზეზად მშენებლობის უკანონობა დასახელდა, ამაზე არც ერთ უფლებადამცველს პროტესტი არ გამოუთქვამს. სოფელ ჭელაში კი მყისიერად დაირაზმნენ „უფლებადამცველები“ და მინარეთის დაშლა ისლამოფობიად შერაცხეს. მსგავსი დემოკრატიის ქადაგება დასავლურ ღირებულებებს აყენებს ჩრდილს და დაუშვებელია, დემოკრატიად ჩაითვალოს უკანონო რელიგიური ნაგებობის აღმართვა, რომელი აღმსარებლობის კუთვნილებაც არ უნდა იყოს იგი. არც ერთი რელიგია არ უნდა იყოს უკანონობის ინდულგენცია, როგორც ჩანს, ფსევდოლიბერალ უფლებადამცველთა გაგებით, უწესრიგობა, სახელმწიფოს უპატივცემულობა და დემოკრატია იდენტური მცნებებია. მისასალმებელია პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ობიექტური დამოკიდებულება მსგავსი საკითხებისადმი, როცა რელიგიურ დაპირისპირებათა შემთხვევებში ობიექტურად აფიქსირებენ ორივე მხარის შეცდომებს და ტენდენციურად მხოლოდ ერთი მხარე არ ცხადდება ტოტალურ დამნაშავედ.



დაისვა საკითხი, მინარეთების მშენებლობასთან დაკავშირებით, შვეიცარიის მაგალითით გამოკითხულ იქნას მოსახლეობის პოზიცია. აქ შეიძლება გავიხსენოთ გერმანიის შემთხვევაც 2010 წელს — ქალაქ კიოლნში, თურქეთის დაფინანსებითა და ყოველგვარი კანონის დაცვით შენდებოდა მეჩეთი, რასთან დაკავშირებითაც არამუსლიმმა მოსახლეობამ დაიწყო საპროტესტო აქციები. ხელისუფლებამ აქციის მონაწილეთა მოთხოვნა გაიზიარა და მეჩეთის მშენებლობა აღარ დაუშვა. ეს ფაქტი არავის შეურაცხავს არადემოკრატიულ ან არატოლერანტულ მოვლენად, საქართველოსგან განსხვავებით, სადაც არათუ კანონიერი, არამედ უკანონო მშენებლობის აკრძალვაც „შეუწყნარებლობად“ ითვლება.

**ხელისუფლების აზრით, ჭელაში, ნიგვზიანის, წინწყაროსა და სამთაწყაროს მსგავსად, დაძაბულობის ესკალაცია ხელოვნურად იქნა გამოწვეული ნაციონალების მიერ, რათა საპრეზიდენტო არჩევნების წინ საგრძნობლად დაეცეს ივანიშვილის ხელისუფლების რეიტინგი და შეელახოს საერთაშორისო ავტორიტეტი. გაურკვეველ პირთა მიერ მიზანმიმართულად, პროცესების ხელოვნურად დაძაბვაზე საუბრობს სოფელ ჭელას ადგილობრივი მოსახლეობაც. ასევე მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ ამ ყველაფრის უკან დგას თურქული ძალები და ფინანსები, რომელთაც საქართველოს გარკვეულ კუთხეთა ისლამიზაცია აქვთ განზრახული.**

რამოდენიმე თვის წინ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავიდ ოღლუმ დაუფარავად გამოხატა ინტერესი საქართველოს კონკრეტული რაიონების მიმართ და განაცხადა, რომ ისინი ისტორიულად მათ ეკუთვნით და მიზანს მალე მიაღწევენ. ამ კონტექსტში ჯდება 2013 წლის ზაფხულში აგორებული სკანდალი თბილისში, იაშვილის სახელობის კლინიკაში, სადაც მფლობელმა საავადმყოფო თურქ ინვესტორზე გაყიდა. ახალმა მეპატრონემ, რომელიც აღმსარებლობით მუსლიმია, საავადმყოფოს კედლებიდან ჩამოახსნევინა ხატები, სადაც ქრისტიანი ავადმყოფები მიდიოდნენ ხოლმე სალოცავად, ხოლო მომსახურე პერსონალს აუკრძალა ჯვრის ტარება; ზოგიერთ მათგანს კი ხელფასის მომატების სანაცვლოდ, სექსუალური ურთიერთობაც შესთავაზა. საავადმყოფოს პერსონალის საპროტესტო აქციის შემდეგ საქმეში ჯანდაცვის სამინისტრო ჩაერთო და დღეისათვის საუბარია იმაზე, რომ კლინიკა სახელმწიფოს დაუბრუნდეს, ხოლო საქმეს სწავლობს სამინისტროს გენინსპექცია... სხვათა შორის, არც ამის შესახებ დაუფიქსირებიათ სამართალდამცავებსა და ომბუდსმენს საკუთარი პოზიცია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 9 | | 8 | | 6 | |
| 1 | | | 4 | | | | 3 | |
| | | 5 | 7 | | | | | |
| 4 | | | 1 | | | 9 | | |
| | 7 | 6 | | | | 5 | 1 | |
| | | 8 | | | 3 | | | 4 |
| | | | | | 9 | 4 | | |
| | 2 | | | | 6 | | | 1 |
| | 8 | | 5 | | 1 | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | 5 | 4 | | |
| 2 | | | | 4 | | | | 8 |
| | 8 | | 2 | | | | 6 | |
| | | 7 | 1 | | | | 5 | |
| | | | | 7 | | | | |
| | 3 | | | | 2 | 8 | | |
| | 1 | | | | 3 | | 9 | |
| 6 | | | | 9 | | | | 7 |
| | | 4 | 5 | | | 2 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 7 | | 1 | | |
| | 1 | 9 | | 6 | | | 3 | 2 |
| | | 2 | 5 | 1 | | | | 4 |
| | | | 6 | | | 3 | 2 | |
| | | | | 4 | | | | |
| | 6 | 8 | | | 3 | | | |
| 4 | | | | 5 | 1 | 2 | | |
| 3 | 7 | | | 2 | | 6 | 8 | |
| | | 5 | | 3 | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 8 | | | | | 1 | |
| | 5 | | | 3 | 1 | | 6 | |
| 4 | | | | | | | | |
| | | | 3 | | | | 7 | 8 |
| | 6 | 1 | | 8 | | 4 | 2 | |
| 9 | 8 | | | | 6 | | | |
| | | | | | | | | 1 |
| | 7 | | 2 | 5 | | | 4 | |
| | 4 | | | | | 2 | | 5 |



## მწვანე ჩაი კაცებს აჭკვიანებს?

სწავლულებმა დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. კვლევის შედეგად, სადაც ძლიერი სქესის 12 წარმომადგენელს დღეში 2 ფინჯან მწვანე ჩაის ასმევდნენ, აღმოჩნდა, შედეგად მონაწილეებს გააუმჯობესდათ მეხსიერება. მწვანე ჩაი სასარგებლოა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვისაც — მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი, ლიმნითა და თაფლით, ხელს უწყობს მკერდის ზრდას.



## ულტიმატუმი შეყვარებულს

კაცის გულისკენ გზა კუჭზე რომ გადის, უდავოა. ამერიკელ ჟურნალისტს, სტეფანი სმიტს მისი შეყვარებული მხოლოდ 300 სენდვიჩის მომზადების შემდეგ მოიყვანს ცოლად — ასეთია საქმროს ულტიმატუმი და სტეფანისაც სხვა რა დარჩენია, საყვარელ მამაკაცს ყოველდღე სენდვიჩებს უმზადებს და საოცნებო ქორწილს მხოლოდ 124 ბუტერბროდის მომზადება აშორებს. ერთმანეთი რესტორანში გავიცანით, მერე პაემანზე სადილი თავად მოამზადა და მივხვდი, რომ საკვები მისთვის უმნიშვნელოვანესია. სენდვიჩებზე მეტად კი არაფერი უყვარს, არც სექსი და არც ალერსი, — ამბობს სტეფანი. ჟურნალისტის საქციელმა მისი მეგობრები და ოჯახის წევრები გააღიზიანა.



## სუნამო ფსიქიკაზე მოქმედებს

ცნობილია, რომ ყნოსვა მჭიდროდ უკავშირდება მეხსიერებასა და ემოციებს, ამიტომ სურნელი ადამიანის ფსიქიკაზეც მოქმედებს. მაგალითად, სურნელოვან ეთერზეთს რამდენიმე წუთში შეუძლია სევდის გაფანტვა, ძალ-ღონის აღდგენა და რომანტიკული განწყობის შექმნა, ხოლო უსიამოვნო სუნს, პირიქით — განწყობის გაფუჭება ან აგრესიის გამოწვევა. ამ ფონზე, უკვე შექმნილია არომატები, რომელიც თავდაჯერებულობას მატებს ადამიანს, იზიდავს და ალერსისკენ უბიძგებს.



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 | 8 | 9 |
| 1 | 8 | 6 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 2 |
| 3 | 1 | 8 | 5 | 2 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 9 | 7 | 4 | 3 | 1 | 8 | 5 | 2 | 6 |
| 6 | 5 | 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 |
| 2 | 9 | 1 | 4 | 7 | 5 | 3 | 6 | 8 |
| 8 | 3 | 7 | 2 | 6 | 1 | 4 | 9 | 5 |
| 4 | 6 | 5 | 8 | 3 | 9 | 2 | 1 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 1 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 7 | 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 3 | 1 |
| 8 | 2 | 9 | 3 | 7 | 1 | 4 | 6 | 5 |
| 6 | 7 | 5 | 4 | 8 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 3 | 4 | 9 | 6 | 5 | 2 | 7 | 8 |
| 4 | 1 | 8 | 6 | 5 | 9 | 7 | 2 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 |
| 2 | 9 | 6 | 8 | 3 | 7 | 1 | 5 | 4 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 2 | 3 | 8 | 5 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 4 | 6 | 1 | 9 | 3 | 2 | 5 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 5 | 1 | 6 | 4 | 3 | 2 | 9 |
| 1 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 | 4 | 9 | 5 |
| 7 | 5 | 9 | 4 | 2 | 3 | 8 | 1 | 6 |
| 6 | 8 | 4 | 5 | 1 | 9 | 7 | 3 | 2 |
| 5 | 9 | 8 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 6 | 9 | 5 | 2 | 4 | 8 |
| 2 | 4 | 6 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 1 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 | 2 | 6 |
| 8 | 2 | 4 | 3 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 9 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 | 4 | 8 | 1 |
| 5 | 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 |
| 6 | 3 | 1 | 2 | 9 | 7 | 8 | 5 | 4 |
| 2 | 4 | 6 | 5 | 7 | 3 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 1 | 5 | 8 | 2 | 9 | 6 | 4 | 7 |
| 7 | 8 | 9 | 4 | 6 | 1 | 5 | 3 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 8 | 5 | 7 | 4 | 1 | 3 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 2 | 6 | 4 | 5 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 |
| 3 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 | 5 | 9 | 6 |
| 2 | 7 | 6 | 4 | 9 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 6 | 3 | 4 | 7 | 2 |
| 8 | 5 | 1 | 9 | 4 | 6 | 7 | 2 | 3 |
| 7 | 3 | 9 | 2 | 5 | 1 | 8 | 6 | 4 |
| 4 | 6 | 2 | 7 | 3 | 8 | 9 | 5 | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 4 | 7 | 5 | 1 | 3 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 6 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 | 5 |
| 8 | 6 | 4 | 7 | 2 | 3 | 9 | 5 | 1 |
| 9 | 5 | 3 | 8 | 1 | 6 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 2 | 1 | 4 | 5 | 9 | 3 | 8 | 6 |
| 5 | 4 | 9 | 6 | 7 | 1 | 8 | 2 | 3 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 4 | 8 | 5 | 6 | 9 |
| 2 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 | 7 | 1 | 4 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 8 |
| 3 | 2 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 4 | 7 | 8 | 2 | 1 | 6 | 5 | 3 |
| 8 | 5 | 1 | 6 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 2 | 3 | 6 | 5 | 9 | 7 | 8 | 4 | 1 |
| 5 | 8 | 3 | 2 | 7 | 4 | 9 | 1 | 6 |
| 4 | 1 | 9 | 3 | 8 | 6 | 5 | 2 | 7 |
| 6 | 7 | 2 | 1 | 5 | 9 | 3 | 8 | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 8 | 3 | 9 | 6 | 4 | 2 | 7 | 1 |
| 9 | 2 | 1 | 5 | 3 | 7 | 8 | 6 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 9 | 5 | 3 |
| 4 | 7 | 2 | 8 | 9 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 6 | 5 | 9 | 1 | 4 | 2 | 7 | 3 | 8 |
| 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 2 | 9 |
| 1 | 3 | 7 | 6 | 8 | 9 | 5 | 4 | 2 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 |
| 2 | 9 | 4 | 3 | 7 | 5 | 1 | 8 | 6 |

მე-13 გვერდი: 1. ტრანსფორმატორი; 2. სპა; 3. მალაქიტი; 4. ფოლკლორი; 5. როიალისტი; 6. ცია; 7. ტიარა; 8. რუკა; 9. ლეიკოციტი; 10. რივიერა; 11. ეისი; 12. ალაო; 13. ლილიფარა; 14. ოქსანა; 15. ორიკი; 16. სწორფრობა; 17. შიო; 18. სერ; 19. კუ; 20. სორვინო; 21. რეზიუმე; 22. ბროკოლი; 23. ქვიშხეთი; 24. განდაგანა; 25. „შერეკილები"; 26. დიოსკურები; 27. გალერეა; 28. დეგრადაცია; 29. დო; 30. ებრო; 31. ტიგროსი; 32. ბერნი; 33. აკრი; 34. „ურმული"; 35. არეკნი; 36. დილოგია; 37. მოლა; 38. აბრაუ; 39. ორესტე; 40. ახო; 41. რუალ; 42. ზეგ; 43. ზიკურათი; 44. გორგალი; 45. მირაჟი; 46. ბიზე; 47. უნაბი; 48. ური; 49. პასქა; 50. ლამარია; 51. ნიკი; 52. მაპუტუ; 53. „ლონდრე"; 54. კრუზო; 55. ჭოტი; 56. თეთრი; 57. ათი; 58. ომი; 59. არარა; 60. ბრანდო; 61. ფორვარდი; 62. დიახ; 63. მთოვარისა; 64. ბივა; 65. ბორატი; 66. „გარაჟი"; 67. ვიტ; 68. ვისტი; 69. ბიბლია; 70. გი; 71. ეხი.

1. კაციჭამია ველური
2. უეფას პრეზიდენტი
3. მრგვლად გახეხილი ძვირფასი ქვა
4. ნიგერიის ფულის ერთეული
5. ქალაქი-პორტი ინგლისში
6. დონ-ჟუანის მსახური
7. მსახიობი ქალის ერთ-ერთი ამპლუა
8. ხემცენარე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით
9. საგნის მონახაზი, კონტური
10. ჩადის დედაქალაქი
11. ფასიანი ქაღალდის ემისიის ნაწილი
12. დარტანიანის მსახური
13. მექსიკის უმაღლესი მწვერვალი
14. არტემიდეს ტყუპისცალი ძმა
15. ჰოლივუდის მსახიობი ... ბროსნანი
16. „ბითლზის“ ლიდერი ... ლენონი
17. კაკლის გულის ნახევარი
18. მზის საგალობელი რაჭაში
19. ტბა თბილისის შემოგარენში
20. ვულკანური ქანი
21. ლიტვის ეროვნული ვალუტა
22. პერუს დედაქალაქი
23. ჩეხი კომპოზიტორი
24. პოპულარული იაპონური კერძი
25. მეუღლის მოტყუება, ღალატი
26. ქართული ლიტერატურული პრემია
27. მწყემსის მოსასხამი
28. ჩვენი მნათობი
29. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი
30. სანთლის ჩასადგმელი
31. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
32. სიძლიერით მეორე ფიგურა ჭადრაკში
33. ვიოლინოს დასაკრავი ჯოხი
34. ინგლ. კომედიური სერიალი „მისტერ ...“
35. ავადმყოფური მიდრეკილება ხანძრის გაჩენისადმი
36. გერმანიის დედაქალაქი
37. სატელეფონო „სიტყვა“
38. ბრაზილიელი მწერალი
39. საკონდიტრო ფხვნილი
40. მითიური ამირანის დედა
41. საფრთხობელა
42. მომღ. ... ჯონსი
43. ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „ჯეინ ეირი“
44. დიდი ესპანელი ფერმწერი
45. ქალის ფართო პალტო
46. ძველი გერმანული ტომები
47. ინდოეთის საკურორტო შტატი
48. ხტომისთვის გამოყენებული ასასხლეტი მოწყობილობა
49. მოკლევადიანი სტრატეგია
50. ინდუისტური უძველესი ქალღმერთი
51. კანადელი მუსიკოსი ბრაიან ...
52. ზევსის დედა
53. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა
54. გზა ლათინურად
55. პეტრე მოციქულის თავდაპირველი სახელი
56. ქვეყანა, სადაც ევერესტი მდებარეობს
57. გიორგი სააკაძის თავმოჭრილი ვაჟი
58. კვამლიანი ნისლი
59. სივრცე გემის ფსკერსა და ქვედა გემბანს შორის
60. მოთხილამურის ფეხსაცმელი
61. ყურით აღქმული ბგერა
62. ფრთოსანი მწერის განვითარების ბოლო სტადია
63. მოუხარშავი ან შეუწვავი
64. ციური სხეულის სამოძრაო გზა
65. ადამიანის საცხოვრებელი
66. ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ბერძ. მით.
67. საზღვაო ფლოტის უფროსი ძვ. საქართველოში
68. ინდონეზიური ჯუ-ჯა კამეჩი
69. გადამდნარი კარაქი
70. ოქროს ურდოს სარდალი
71. მე-17 ასო
72. მეფე ლირის ასული
73. სოფელი ოზურგეთის რაიონში
74. ცხიმოვანი სიმსივნე
75. საზეიმო წვეულება, დარბაზობა
76. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში
77. ალექსანდრე გრიბოედოვის კომედია „... ჭკუისაგან“
78. სიტყვათა წარმოთქმის მანერა
79. თარაშ ემხვარის ცხენის სახელი
80. ჰექტრის შემოკლებული აღნიშვნა
81. ამერიკელი გიტარისტი კარლოს ...
82. მცოცავი ბუჩქი
83. „... დაიხ-ოცნენ, მერე იქორწინეს“





# წარუმატებელ გარდასახვას სიკვდილი ამჯობინა

ბელგიელმა მამაკაცმა, რომელიც ადრე ქალი იყო და ნენსი ერქვა. სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც სქესის შეცვლის ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა. გოგონა ვიყავი, რომელიც არავის სჭირდებოდა, მშობლებს ჩემი ძმები უფრო უყვარდათ და ნანობდნენ, რომ მეც ბიჭად არ დავიბადე... გამუდმებულმა დამცირებამ ოპერაციის გაკეთება გადამაწყვეტინა, — აცხადებდა ნენსი, რომელსაც ჰორმონალური თერაპიაც ჩუტარეს, მკერდიც მოკვეთეს და სქესიც შეუცვალეს, თუმცა არც ერთი ოპერაცია წარმატებული არ აღმოჩნდა. სარკეში რომ ვიყურებოდი, თავი მეზიზღებოდა, — განაცხადა ბელგიელმა, რომლის ისტორიამაც ქვეყანაში ევთანაზიის მართებულობა ეჭვქვეშ დააყენა.



# ჰოროსკოპი
## 7 ოქტომბერი

**ვერძი** — საუკეთესო ფორმაში იქნებით და ყველა საქმეს წარმატებით გაართმევთ თავს. გარშემომყოფები კი თქვენი კეთილგანწყობის მოპოვებაზე იზრუნებენ.

**კურო** — ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რომელიც მაინცდამაინც არ გხიბლავთ, მაგრამ ნუ იწუწუნებთ, ამით ვერაფერს შეცვლით, გაწეული შრომა კი კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ.

**ტყუპები** — თუ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ხართ, წარმატების მიღწევაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. არავინ ჩაახედოთ თქვენს საქმეებში — ცნობისმოყვარეები თავიდან მოიშორეთ.

**კირჩხიბი** — დღეს მცირე, მაგრამ ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებთ და გარშემომყოფებიც სათანადოდ დაგაფასებენ.

**ლომი** — ოჯახური საქმეები სამსახურზე წინ დააყენეთ, ამით არაფერი დაშავდება. შეეცადეთ, მალევე მოაგვაროთ არსებული პრობლემები.

**ქალწული** — ნეიტრალური დღე გელით, ნუ დაიჯერებთ ყველაფერს, რასაც გეტყვიან — გადაამოწმეთ ნებისმიერი ინფორმაცია.

**სასწორი** — მოთმინებით აღიჭურვეთ: ისეთი საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც თქვენგან ყურადღებასა და დიდ ენერგიას მოითხოვს. ნუ გაამწვავებთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან.

**ღრიანკალი** — საშუალება მოგეცემათ, სრულად წარმოაჩინოთ თქვენი ნიჭი, ოღონდ ძველი მეგობრებიც არ დაივიწყოთ — ამ ურთიერთობას მოფრთხილება სჭირდება.

**მშვილდოსანი** — ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას კარგად გააანალიზეთ მოსალოდნელი შედეგები. ნუ აყვებით ემოციებს და ნაკლები ყურადღება მიაქციეთ გარშემომყოფთა აზრს.

**თხის რქა** — შანსი ხელიდან არ გაუშვათ — შეეცადეთ, ყველაფრისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოთ. დღეს ურთიერთობის დარეგულირება მოგიწევთ, ამიტომ უფრო ლოიალური იყავით გარშემომყოფების მიმართ.

**მერწყული** — ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ მოგინდებათ გალაშქრება და ამაში ცუდი არაფერია, თუკი საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ გეპარებათ. ფინანსური საკითხებიც თქვენს სასარგებლოდ მოგვარდება.

**თევზები** — გირჩევთ, არ გაეკაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც უარს არასოდეს ეუბნებოდით დახმარებაზე და ხშირად მათ მაგივრადაც მუშაობდით, ისინი ამას უკვე მოვალეობად გითვლიან, რაც ნაკლებად სასიამოვნოა.



# ვადაგასულ პროდუქტს გაყიდიან

მომავალი წლიდან ქალაქ ბოსტონის ერთ-ერთი სუპერმარკეტი აპირებს, მხოლოდ ვადაგასული პროდუქტები გაყიდოს. ექსპერიმენტის ინიციატორი ბიზნესმენი დუგ რაუხი მიიჩნევს, რომ მინიმუმ ხუთი ისეთი პროდუქტი არსებობს, რაც ვადაგასულიც უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. მაგალითად, სიმინდის ჩიფსი, შოკოლადი, კვერცხი, იოგურტი და რძე. სტატისტიკით, აშშ-ში ყოველწლიურად პროდუქტების 40% ნაგავში იყრება მხოლოდ იმის გამო, რომ მათზე მითითებული ვარგისიანობის ვადა გასულია; არადა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს თარიღი მიანიშნებს, რომ პროდუქტის გემო ჩვეულებრივზე უარესი იქნება. წარმოუდგენელია, კლიენტი მოიწამლოს იმიტომ, რომ ერთი თვის ვადაგასული სიმინდის ჩიფსი მიირთვა, — ამბობენ ამერიკელები და დასძენენ, რომ არც იოგურტი ფუჭდება მაცივარში ექვსი კვირის შემდეგ. ბუნებრივი რესურსების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დანა გუნდერსი კი აცხადებს, რომ შოკოლადიც დიდხანს ინახება, თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შესაძლოა, მასზე თეთრი ნადები გაჩნდეს, რასაც ამ პროდუქტის „ყვავილობას“ უწოდებენ, მაგრამ ეს ობი კი არა, კრისტალური ცხიმებია და ის სრულიად უსაფრთხოა. ყველაზე ხშირად ნაგავში კვერცხი ხვდება, არადა ამ პროდუქტის შენახვა 5 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე 3-5 კვირაც შეიძლება; მაცივარში რძესაც უჩნდება უსიამოვნო სუნი და გემო, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ რძე ჯანმრთელობისთვის საშიშია...

# ყავა ასუქებს?



თუკი ადამიანი დღის განმავლობაში ხუთ ფინჯან არომატულ სასმელს მიირთმევს, წონაში მატების რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, — განაცხადეს ავსტრალიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა. სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დღეში ხუთი ჭიქა ყავა შინაგანი ორგანოების გარშემო, ე.წ. ვისცერალური ცხიმის (ცხიმის ყველაზე სახიფათო სახეობა) მოცულობას აორმაგებს, რაც შინაგანი ორგანოების მუშაობას აფერხებს და სერიოზული დაავადებების მიზეზი ხდება. ყავის ნეგატიურ ეფექტს მასში ქლოროგენის მჟავის არსებობას უკავშირებენ, თუმცა მკვლევარების თქმით, ზომიერი რაოდენობით ის სასარგებლოა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას უშლის ხელს. ექსპერიმენტის ფარგლებში, მკვლევარები ლაბორატორიულ თაგვებს დღეში ხუთი ჭიქა ყავას ასმევდნენ, შედეგად კი დადგინდა, რომ მღრღნელებს ორჯერ უფრო მეტი ვისცერალური ცხიმი უვითარდებოდათ. მკვლევარების თქმით, ყავის სასარგებლო თვისებების თაობაზე გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მათ დაამტკიცეს, რომ ამ სასმელის ჭარბი რაოდენობა წონაში მატებას იწვევს.

# ქალებს იურისტი კაცები იზიდავს



გაცნობის გერმანული საიტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მსხვილი ევროპული ქალაქების მცხოვრებ მანდილოსნებს ყველაზე მეტად იურისტი და არქიტექტორი მამაკაცები იზიდავს — მათ რესპონდენტთა 25%-მა მიანიჭა უპირატესობა. ქალებისთვის მიმზიდველი პროფესიების რეიტინგში მეორე ადგილს ექიმები და ინჟინრები იკავებენ — 22%; 18%-იანი მხარდაჭერა მოიპოვეს მხატვრებმა და მეცნიერებმა, 17%-იანი — ჟურნალისტებმა და მარკეტინგის სპეციალისტებმა. ძლიერი სქესის ფორმიანი წარმომადგენლები — პოლიციელები ან მფრინავები — რესპონდენტთა 13%-მა დაასახელა, ბანკის თანამშრომლებით 10%-ია მოხიბლული.



# ჰოროსკოპი
## 8 ოქტომბერი

**ვერძი** — შეუფერებელი დროა პირადი ურთიერთობების მოგვარებისთვის. არის შანსი, რომ არასწორად გაგიგებენ, რაც კონფლიქტამდე მიგიყვანთ.

**კურო** — დღეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ — ვიდრე ნაბიჯს გადადგამთ, კარგად დაფიქრდით, მხოლოდ ასე შეძლებთ უსიამოვნების თავიდან აცილებას.

**ტყუპები** — სასიამოვნო დღეა, რომელიც დიდ კმაყოფილებასა და სარგებელს მოგიტანთ. სავსებით შესაძლებელია, პატარა, მაგრამ ძალიან სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ.

**კირჩხიბი** — დღე მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ურთიერთობებისთვის. შეეცადეთ, რაც შეიძლება დიდი დრო დაუთმოთ მათ და ნურც თბილ სიტყვებსა და კომპლიმენტებს დაიშურებთ.

**ლომი** — მნიშვნელოვნად განიმტკიცებთ მდგომარეობას და ავტორიტეტს, თუ მთელ ყურადღებას სამუშაოს დაუთმობთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტი დაძაბულობაც არვარგა.

**ქალწული** — ფინანსურმა პრობლემებმა შესაძლოა ყველა წვრილმანი გადაფაროს, არც სამსახურში მიგდით საქმე სახარბიელოდ, ამიტომ ნუ ეცდებით დინების საწინააღმდეგოდ ცურვას და პრობლემების მოსაგვარებლად შესაფერის დროს დაელოდეთ.

**სასწორი** — შესაძლოა, საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ, მაგრამ გამოსავალს ადვილად მოძებნით, თუ პანიკაში არ ჩავარდებით და მოთმინებას გამოიჩენთ.

**ღრიანკალი** — გარშემომყოფები ცდილობენ ბოროტად ისარგებლონ თქვენი კეთილგანწყობით — ნუ ეცდებით ვითარების შეცვლას, უბრალოდ ისე იმოქმედეთ, რომ არც თქვენი ინტერესები გადაწიოთ უკანა პლანზე.

**მშვილდოსანი** — გეჩვენებათ, რომ გარშემომყოფები ძალიან ნელა მოქმედებენ და თითქოს სპეციალურად წელავენ დროს, ამის გამო შესაძლოა ნერვებმა გიმტყუნოთ — ფრთხილად იყავით, ასეთმა ქცევამ ურთიერთობები არ გაგიფუჭოთ.

**თხის რქა** — თქვენს ბრძნულ, მკაცრ და გამჭოლ მზერას ვერავინ და ვერაფერი დაემალება. ისეთ წვრილმანებსაც კი შეამჩნევთ, რასაც სხვა არც კი შეხედავდა.

**მერწყული** — თუ ადრე ეჭვი გტანჯავდათ მეგობრების ან საყვარელი ადამიანის ერთგულებასთან დაკავშირებით, დღეს ჭეშმარიტებას ახდით ფარდას და არსებული გაუგებრობაც უკვალოდ გაქრება.

**თევზები** — ვარსკვლავები გირჩევენ, დაუფიქრებლად არ მოიქცეთ და მხოლოდ ინტუიციას არ დაეყრდნოთ. ნებისმიერი ნაბიჯი საგულდაგულოდ აწონდაწონილი და გაანალიზებული უნდა გქონდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემებს თავს ვერ აარიდებთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 4 | 3 | | | | 6 | 7 |
| 3 | | | | | | 4 | | |
| | 8 | | | | 2 | | 1 | |
| | | | | 3 | 8 | | | |
| | 4 | 7 | | 2 | | 5 | 8 | |
| | | | 7 | 5 | | | | |
| | 3 | | 2 | | | | 5 | |
| | | 5 | | | | | | 6 |
| 6 | 1 | | | | 3 | 2 | | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | | 9 | | 4 | 8 | | |
| | 9 | | 6 | | 5 | | 4 | |
| | | 4 | 8 | | | | | |
| | | | | | | 9 | 2 | 8 |
| 4 | | | | | | | | 1 |
| 1 | 7 | 9 | | | | | | |
| | | | | | 3 | 1 | | |
| | 5 | | 1 | | 8 | | 9 | |
| | | 3 | 7 | | 6 | | 8 | 4 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | | 8 | | | |
| | | 6 | | | 4 | | | |
| 8 | 7 | | | | | | 4 | 9 |
| 9 | | | 4 | | 1 | | | |
| | 2 | | | | | | 3 | |
| | | | 3 | | 6 | | | 1 |
| 7 | 1 | | | | | | 9 | 4 |
| | | | 2 | | | 5 | | |
| | | | 7 | | | | | 6 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | | | 5 | | | 9 |
| 1 | | | | 8 | | | 7 | |
| | | 3 | | 2 | | | | |
| | | 1 | | | 2 | 9 | 8 | |
| 3 | | | | | | | | 2 |
| | 8 | 6 | 4 | | | 5 | | |
| | | | | 7 | | 4 | | |
| | 7 | | | 3 | | | | 5 |
| 4 | | | 5 | | | | 2 | |



## ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ამერიკელმა მკვლევარებმა ოჰაიოს უნივერსიტეტიდან დაამტკიცეს, რომ ზედმეტი წონა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მართალია, სიმსუქნე კვლავაც საშიშ დაავადებად რჩება, მაგრამ თუ 50 წლის ადამიანს ზედმეტი წონა აქვს, ეს აძლევს შანსს, 15 წლით გაიხანგრძლივოს სიცოცხლე. მეცნიერები ამას შემდეგნაირად ხსნიან — ადამიანები, რომლებიც მუდმივად საკუთარ წონაზე ნერვიულობენ და დიეტას იცავენ, ორგანიზმს სტრესის ქვეშ აყენებენ, რასაც ვერ ვიტყვით მათზე, ვინც სტაბილურ წონას ინარჩუნებს. რისკის ჯგუფში კი რჩებიან ისინი, ვინც ასაკთან ერთად, წონაში იმატებს. ექსპერიმენტისას, რომელიც 18 წელიწადს გრძელდებოდა, სწავლულები 10 ათას ჯანმრთელ ადამიანს აკვირდებოდნენ და აკონტროლებდნენ მათი სხეულის მასის ინდექსს. ექსპერიმენტში მონაწილეთა 7,2%-ში აღინიშნა სერიოზული დაავადებები, რაც გამოწვეული იყო წონაში მომატებით. იმ მონაწილეებში კი, რომლებიც სტაბილურ წონას ინარჩუნებდნენ, გაცილებით ნაკლები იყო როგორც ავადობის, ისე სიკვდილიანობის მაჩვენებელიც.

## ქალებს სიყვარულით გათხოვებას უკრძალავენ



ინდოეთის ერთ-ერთი შტატის, უტარ პრადეშის პატარა დასახლება ასარის ხელისუფლებამ უჩვეულო კანონი შემოიღო, რომლის მიხედვითაც სუსტი სქესის ადგილობრივ წარმომადგენლებს სიყვარულით გათხოვება ეკრძალებათ — ყველა ოჯახურ წყვილს კი, რომელიც ამ გრძნობის საფუძველზე შეიქმნება, სოფლიდან გაძევება ემუქრება. აღსანიშნავია, რომ ასარიში ქალებისთვის კიდევ რამდენიმე დისკრიმინაციული კანონი მოქმედებს: 40 წელს გადაცილებულ სუსტი სქესის წარმომადგენლებს საჯაროდ, მამაკაცის თანხლების გარეშე, გამოჩენა ეკრძალებათ და სახლიდან თავსაბურავის გარეშე გასვლაც დანაშაულად მიიჩნევა. სოფლის მმართველობა კი ირწმუნება, რომ მათი გადაწყვეტილება მხოლოდ ქალების უსაფრთხოებაზე ზრუნვითაა განპირობებული.

## კოფეინი ტვინს აზიანებს

შვეიცარელი მეცნიერები განგაშს ტეხენ: კოფეინი, რომელსაც გაზიანი სასმელი შეიცავს, მოზარდებს მშვიდად ძილის საშუალებას არ აძლევს, რაც მოგვიანებით, ტვინის განვითარებას აფერხებს. გამუდმებული გამოუძინებლობის შემთხვევაში იზრდება შიზოფრენიისა და სხვა აშლილობების რისკი. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩაატარეს, მიღებულმა შედეგებმა კი სწავლულები მეტად შეაშფოთა. მოზარდები, რომლებიც ყოველდღიურად მიირთმევენ ოთხ ქილა გაზიან სასმელს ან ოთხ ფინჯან ყავას, რისკის ჯგუფში ხვდებიან — მათში ძილის დაბალი მაჩვენებელი და ტვინის განვითარების ნელი ტემპი შეინიშნება. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 30 წლის განმავლობაში ბავშვებისა და მოზარდების მიერ კოფეინის მოხმარება 70%-ით გაიზარდა; ბაზარზე ახალ-ახალი მატონიზირებელი სასმელი გამოდის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ის ჯანმრთელობისთვის საშიშია.



## 13 ტყუპის დედა ხდება

40 წელს გადაცილებული ქალი, რომელიც 24 წელია გათხოვილია და შვიდი შვილი ჰყავს, მათ შორის ტყუპებიც, ამჯერად, 13 ტყუპს ელოდება, — იუწყება ადგილობრივი მედია. მეუღლის თქმით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ცოლი არ დაფეხმძიმებულა, რის გამოც 2012 წელს მან მეორე ცოლიც შეირთო. ამდენ ტყუპი დიდი სიურპრიზი იყო ჩემთვის. ისინი რომ დაიბადებიან, მსოფლიოში უბედნიერესი მამა ვიქნები, — აცხადებს ერაყელი ფერმერი. ექიმებს კი ნაკლებად აქვთ იმედი, რომ ყველა პატარა ცოცხალი და ჯანმრთელი დაიბადება, მით უმეტეს, რომ წინასწარმა ტესტებმა აჩვენა, ოთხი ემბრიონის გული აღარ ცემს.







PARTNERS

Ministry of Finance of Georgia | Ministry of Energy of Georgia | Georgian Revenue Service | Regional Development & Infrastructure of Georgia | PARTNERSHIP Fund | Georgian Energy Development Fund | Georgian Chamber of Commerce & Industry

MEDIA-PARTNERS

Fortuna 106.9 FM | Тбилисели | Свободная Грузия | The Georgian Times | Business Week | Leader Today | Prime Time | Commersant.ge | ვერსია

Georgian Times | www.geotimes.ge

Please Contact: marketing@geotimes.ge





გთხოვთ დარეკოთ




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს — უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო — უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.